



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ<sup>1</sup>



#### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ქეთევან აფთარაშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

ხათუნა საგანელიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

ვახტანგ თებიძე, სტუდენტი ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი  
2021

#### ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

<sup>1</sup> შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

## ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	მეფე სოლომონ მე-2-ის ქუჩა №4, №6, თბილისი, 0114, საქართველო
ვებ-გვერდი	www.geomedi.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	22.06.2021 №679985
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	22.06.2027

## რაოდენობრივი მაჩვენებლები

### პროგრამები<sup>2</sup>

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	7
ბაკალავრიატი	2
მაგისტრატურა	2
ერთსაფეხურიანი	3
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	7
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა <sup>3</sup>	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	1

### სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	846	212	73%
ბაკალავრიატი	60	67	70%
მაგისტრატურა	14	8	77%
ერთსაფეხურიანი	772	136	74%
დოქტორანტურა	-	-	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	558	57	72%

<sup>2</sup> იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

<sup>3</sup> იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3<sup>48</sup> პუნქტში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-
---	---	---	---

### პერსონალი

<b>მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ</b>	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	294
<b>სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა</b>	75
- პროფესორი	28
- ასოცირებული პროფესორი	37
- ასისტენტ პროფესორი	6
- ასისტენტი	4
<b>სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა</b>	8
- მეცნიერი	8
- პოსტდოქტორანტი	-
<b>სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა</b>	67
- აფილირებული პროფესორი	26
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	31
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	6
- აფილირებული ასისტენტი	4
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	5
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	132
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	108

### შენიშვნა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	6355.25
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2891.25
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	3464

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

**აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ნოემბრის ბრძანების №1235012 თანახმად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მიერ ცენტრში 2021 წლის 2 ნოემბრის წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №1175160) წარმოდგენილი დოკუმენტაციის ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოების სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნასთან მიმართებით შემოწმების მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი.

შეფასების პროცესი განხორციელდა 2021 წლის 25 და 26 ნოემბერს. კერძოდ, ინტერვიუ განხორციელდა დისტანციურად, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება მოხდა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში ვიზიტით. ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო გახდა უნივერსიტეტისგან დამატებით დოკუმენტების გამოთხოვა, რომელიც დროულად და მოწესრიგებულად იქნა უზრუნველყოფილი. შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა დასკვნის წარმოდგენა.

**მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:**

- ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება  
შეფასების განხორციელების თარიღი: 22.06.2021
- სტუდენტთა კონტინენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება  
შეფასების განხორციელების თარიღი: \_\_\_\_\_
- საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება  
შეფასების განხორციელების თარიღი: \_\_\_\_\_
- შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში  
შეფასების განხორციელების თარიღი: \_\_\_\_\_

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):

აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:

1.1. უნივერსიტეტმა უნდა მოძებნოს გზები და შეიმუშაოს გეგმა, რომელიც ამოავებს სიცარიელეს რეალობასა და მისიასა და ხედვას შორის.

**მეტწილად შესრულებულია,**  
უსდ-ს მისიაში დაზუსტებულია საქმიანობის ძირითადი პროფილი, წარმოდგენილ იქნა განახლებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები, სადაც განახლდა SWOT ანალიზის ნაწილი, აქტივობები, თუმცა ცვლილება არ შეხება სამოქმედო გეგმის თანახმად 2023 წელს სადოქტორო პროგრამის შექმნის ნაწილს, 2021 წლის ივნისში განხორციელებული ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შეფასებულ იქნა როგორც არარეალურ პერსპექტივად კვლევითი საქმიანობის სიმწირის გამო.

1.2. SWOT ანალიზის გადახედვის შემდეგ, ხელმეორედ უნდა შემუშავდეს სტრატეგიული

**მეტწილად შესრულებულია,**  
უსდ-მ წარმოადგინა განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელშიც პირველ რიგში ცვლილებები შეეხო SWOT ანალიზს. SWOT

<p>გეგმა ისე, რომ ნათლად ასახავდეს უნივერსიტეტის ყველა სტრატეგიულ მიზანს.</p>	<p>ანალიზის გადახედვის ნაწილში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებიც. განახლებული SWOT ანალიზი მეტწილად ასახავს უსდ-ს რეალურად მდგომარეობას თუმცა არაფერია ნათქვამი მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფა, სტუდენტთა კარიერულ განვითარების მხარდაჭერაზე და ა.შ.) ასევე, გეგმა მეტწილად ნათლად ასახავს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს (მაგ, კვლევის განვითარება უკვე წარმოჩინდა როგორ სტრატეგიული მიზანი და სამოქმედო გეგმით გაიწერა შესასრულებელი აქტივობები, თუმცა ისევ დიად რჩება მენეჯმენტის გაუმჯობესების მუდმივი ზრუნვის, პერსონალის გადინების ნაწილებთან დაკავშირებით აქტივობები).</p>
<p>1.2. სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი უნდა ჩატარდეს უფრო ხშირად (კვარტალურად) აკადემიური საბჭოს მონაწილეობით.</p>	<p><b>არ არის შესრულებული</b> დაწესებულება იზიარებ, რომ ხშირად ჩაატარებს გეგმების მონიტორინგს, თუმცა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელებას გეგმავს სემესტრულად, ხოლო სტრატეგიული განვითარების გეგმის - ყოველწლიურად. გასულ სემესტრში სამოქმედო გეგმის მონიტორინგი არ ჩატარებულა, ხოლო სტრატეგიული განვითარების გეგმას დაწესებულების მიერ განსაზღვრული ვადით ჯერ არ უწევს მონიტორინგის ჩატარება.</p>
<p>1.2. უნდა მოხდეს სამოქმედო გეგმის განხილვის პროცესის გამრავალფეროვნება მასში შიდა დაინტერესებული მხარეების ჩართვით და თვისებრივი მიდგომის დამატებით.</p>	<p><b>შესრულებულია</b> სამოქმედო გეგმის განხილვისა და შესრულების მონიტორინგში ჩაერთო კურსდამთავრებული, ასევე ჩართული არიან დამსაქმებლები, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, გეგმის განხილვა ხდება აკადემიურ საბჭოზე, რომლის წევრებიც არიან ყველა სტრუქტურული და საგანმანათლებლო ერთეულის წარმომადგენლები.</p>
<p>1.2. უნდა მოხდეს სამოქმედო გეგმის გადახედვა ისე, რომ იგი მოიცავდეს გარკვეულ ქმედებებს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, კონკრეტულ პირებზე პროექტის მენეჯმენტის პასუხისმგებლობის გადანაწილებით.</p>	<p><b>მეტწილად შესრულებულია</b> სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები განსაზღვრულია, თუმცა არ ვიზუალურად კარგად არ აღიქმება რომელ აქტივობებზე რომელი ერთეულები/პირები არიან პასუხისმგებლები და ინტერვიუმ დაადასტურა, რომ უმეტეს შემთხვევაში პასუხისმგებელი პირები იცნობენ საკუთარ პასუხისმგებლობების ნაწილს, თუმცა არის შემთხვევებიც, როცა პასუხისმგებელი პირი არ იცნობს იმ ამოცანას, რომლის შესრულებაზეც მისი სტრუქტურაა პასუხისმგებელი. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ამოცანის შესაბამისად გაწერილია აქტივობები, არის შემთხვევები, როდესაც ამოცანა</p>

	და გაწერილი ქმედებები არ შეესაბამება ერთმანეთს.
1.2. უნდა განახლდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევების გეგმა სტრატეგიული მიზნების რისკებისა და საფრთხეების მართვის მიზნით.	<b>ნაწილობრივ შესრულებულია</b> უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა, რომელშიც ბოლოს ცვლილება განხორციელდა 2020 წლის 25 მაისს. შესაბამისად, ავტორიზაციის ვიზიტის შემდგომ მასში ცვლილებები არ შესულა. ექსპერტთა დასკვნაში მოხსენებული რისკებიდან გეგმაში იდენტიფიცირებულია სტუდენტთა რაოდენობის შემცირების ნაწილი, თუმცა საგანგებო სიტუაციების დაგეგმვისას არ მოხდა გათვალისწინება „უცხოელი სტუდენტების ქვეყანაში არსებული პოლიტიკა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ჩარიცხვაზე, კურსის დასრულებაზე“ და სხვა.
2.1. პრო-რექტორები და ფაკულტეტის დეკანები სრული გრაფიკით უნდა ჩაერთონ უნივერსიტეტის საქმიანობაში და ჰქონდეთ უფლებამოსილება მენეჯმენტის ფუნქციების შესასრულებლად.	<b>შესრულებულია</b> რექტორის მოადგილეები სრული გრაფიკით არიან ჩართულნი უნივერსიტეტის საქმიანობაში და ამასთანავე, სრულად არიან ჩართულნი როგორც უნივერსიტეტის მართვის, სტრატეგიული დაგეგმარების, ასევე საკუთარი საქმიანობის შესრულების ნაწილში.
2.1. ფაკულტეტის დეკანები და პროგრამის ხელმძღვანელები უნდა იყვნენ აფილირებული პერსონალი, რათა უზრუნველყონ მაღალი დონის ვალდებულება და ჩართულობა, ასევე უწყვეტობა სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში	<b>შესრულებულია</b> ფაკულტეტის დეკანები და პროგრამის ხელმძღვანელები აფილირებულნი არიან სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში
2.1. პრორექტორები, ფაკულტეტის დეკანები და პროგრამის ხელმძღვანელები დასაქმებული უნდა იყვნენ მხოლოდ ამ უნივერსიტეტში.	<b>შესრულებულია</b> რექტორის მოადგილეები, ფაკულტეტის დეკანები და პროგრამის ხელმძღვანელები ძირითად საქმიანობას ეწევიან სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში და ამასთანავე, არიან აფილირებული პერსონალი
2.1. სუბორდინაციის მისაღწევად უნდა მოხდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის იერარქიული სტრუქტურის გადასინჯვა. თითოეული სტრუქტურული ერთეული ანგარიშვალდებულია ერთ-ერთ პრორექტორთან და არა უშუალოდ რექტორთან და, რა თქმა უნდა, არც აკადემიურ საბჭოსთან, რომელიც კოლეგიური ორგანოა.	<b>შესრულებულია</b> უსდ-ს მიერ გადახედილ იქნა ორგანიზაციული სტრუქტურა და რექტორის მოადგილეებს დაეკვემდებარნენ შესაბამისი სამსახურები
2.1. უნდა გადაიხედოს სტრუქტურული ერთეულებისთვის მინიჭებული ფუნქციები, რათა აღმოიფხვრას გაურკვევლობა და ფუნქციების გადაფარვა.	<b>მეტწილად შესრულებულია</b> გადაიხედა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და აღმოფხვრილ იქნა პროფესიული გადამზადების ნაწილში HR სამსახურსა და დახელოვნებისა და რეზიდენტურის სამსახურს შორის არსებული ფუნქციური გადაფარვები,

	<p>თუმცა მინიჭებულ ფუნქციებთან დაკავშირებით რჩება გაურკვეველობა მაგალითად სტუდენტთა სერვის ცენტრის ნაწილში, რიგ შემთხვევაში არ არის ნათელად და კონკრეტულად ჩამოყალიბებული ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.</p>
<p>2.1. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კრიტიკული ოპერაციების უწყვეტობა მოადგილეების მეშვეობით და საერთო პრაქტიკის დანერგვა.</p>	<p><b>არ არის შესრულებული</b> დაწესებულების განმარტებით ხელმძღვანელი პირის არყოფნის/გაცდენის შემთხვევაში ინიშნება დროებითი მოვალეობის შემსრულებელი</p>
<p>2.1. დაუყოვნებლივ უნდა დაიწყო პარტნიორ უნივერსიტეტებთან ERASMUS+ გაცვლითი პროგრამების (ან სხვა გაცვლითი საერთაშორისო პროგრამების) განხორციელება სტუდენტებისა და პერსონალისთვის.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b> დაიწყო ERASMUS+ გაცვლითი პროგრამის განხორციელება სტუდენტებისთვის და 2 სტუდენტი გაემგზავრება უცხოეთში აღნიშნული პროგრამით, ხოლო პერსონალის მობილობა ჯერ არ განხორციელებულა</p>
<p>2.2. გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების რაოდენობა.</p>	<p><b>შესრულებულია</b> ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სამი თანამშრომელია, რომელთაგან ერთი თანამშრომელი დაემატა ავტორიზაციის შემდგომ პერიოდში</p>
<p>2.2. უნდა მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება საგანმანათლებლო ერთეულებში.</p>	<p><b>მეტწილად შესრულებულია</b> დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ასევე სწავლების ხარისხის შიდა და გარე მექანიზმები. ფაკულტეტები ჩართულნი არიან როგორც გამოკითხვების წარმოებასა თუ რეკომენდაციების შემუშავებაში, ასევე აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანალიზში, თუმცა ფაკულტეტების დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის განვითარება ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესია.</p>
<p>2.2. უნდა მოხდეს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულებაში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.</p>	<p><b>მეტწილად შესრულებულია</b> სტრუქტურული ერთეულების მიერ ადგენენ შესრულებული სამუშაოს ანგარიშები, რომლებიც განიხილება აკადემიურ საბჭოზე, ამასთანავე განხორციელებული გამოკითხვებისა თუ ანგარიშების ანალიზების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად ახდენენ შემდგომ რეაგირებას. თუმცა ყველა სტრუქტურული ერთეულების დონეზე მნიშვნელოვანია PDCA ციკლის გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხარისხის კულტურის დამკვიდრებას დაწესებულებაში.</p>
<p>2.2. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გარე დაინტერესებული მხარეების სისტემატური და ეფექტური მონაწილეობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში, სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და მათი გაუმჯობესების ჩათვლით, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ფორმალური პროცედურის ჩამოყალიბებით.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b> ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს დაინტერესებული მხარეების სისტემატურ გამოკითხვას, თუმცა უკუკავშირს არ აქვს სისტემური და ფორმალიზებული სახე.</p>

<p>2.2. გარე შეფასების შედეგები უფრო ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული სწავლა-სწავლების, კვლევისა და სხვა სერვისების გასაუმჯობესებლად.</p>	<p><b>მეტწილად შესრულებულია</b></p> <p>უსდ-ს მირ ხდება გარე შეფასების შედეგების გამოყენება, რაც დასტურდება წარმოდგენილი ანგარიშებით, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმაში თუ სხვა დოკუმენტებში ასახული ცვლილებებით და ინტერვიუებით, თუმცა სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია უფრო მეტად ეფექტიანად იქნეს გამოყენებული გარე შეფასების შედეგები.</p>
<p>2.2. სტუდენტთა კონტიგენტი უნდა დაიგეგმოს დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსების, შესაბამისი ინდიკატორებისა და ნიშნულების შესაბამისად.</p>	<p><b>შესრულებულია</b></p> <p>უსდ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და დაგეგმვისას ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რაც რეკომენდაციითაა განსაზღვრული.</p>
<p>2.3. უნივერსიტეტის მმართველობამ უნდა განიხილოს პლაგიატის აღმოჩენის საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და პლაგიატზე შეამოწმოს სტუდენტების ყველა წერიტი ნაშრომი.</p>	<p><b>არ არის შესრულებული</b></p> <p>უსდ-ს მიერ არ იქნა გაზიარებული რეკომენდაცია და არ შეუქმნია პლაგიატის აღმოჩენი პროგრამა და შესაბამისად, ანტიპლაგიატის პროგრამაში არ მოწმდება სტუდენტის ყველა წერიტი ნაშრომი.</p>
<p>3.1. უნდა მოხდეს ცხრილების დროული უზრუნველყოფა საგანმანათლებლო სემესტრის დაწყებამდე და ისინი უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და პედაგოგისთვის ყველა ობიექტის მიხედვით (კლინიკური და ძირითადი საგნებისათვის).</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b></p> <p>უნივერსიტეტს ელექტრონულ სისტემაში ჩაშენებული სასწავლო ცხრილის ფუნქციონალი, თუმცა ამ ეტაპზე ცხრილები არ უჩანთ დაინტერესებულ მხარეებს, ისინი ცხრილს იღებენ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ამავე დროს ზოგიერთი კლინიკური კურსის პრაქტიკულების ცხრილი სემესტრის დაწყებამდე ცნობილი არ არის, ამ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ როტაციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე.</p>
<p>3.1. ცხრილები უნდა შეიცავდეს ყველა შესაბამის ინფორმაციას, მათ შორის სტუდენტების ჯგუფის, ადგილის, დროის და პედაგოგის (პედაგოგების) შესახებ.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b></p> <p>უნივერსიტეტში გამოკრული ცხრილები შეიცავს ინფორმაციას სტუდენტების ჯგუფების, ადგილის, დროის და პედაგოგის შესახებ, თუმცა იგივე ინფორმაცია ვერ იქნა ნანახი ელექტრონულ პორტალზე. ასევე, მიმდინარე ზოგიერთი კლინიკური კურსის პრაქტიკული მეცადინეობის ცხრილი სტუდენტებისთვის უცნობია.</p>
<p>3.1. ყველა პროგრამის, განსაკუთრებით კი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამების განხორციელების წესები უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული და ხელმისაწვდომი.</p>	<p><b>შესრულებულია</b></p> <p>სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად ხდება სასწავლო პროცესის განხორციელება, კლინიკური როტაციების რეგულირების მიზნით, დოკუმენტს დაემატა მე-15 მუხლი. უნივერსიტეტის მიერ ასევე გაწერილია ჰიბრიდულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებული რეგულაციები.</p>



<p>3.1. კლინიკებთან კონტრაქტის დადებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ მექანიზმებს, რომლებიც კლინიკური სწავლების გარანტიას.</p>	<p><b>არ არის შესრულებული</b> კონტრაქტებში ამ ეტაპზე არ არის ასახული ის ინფორმაცია და მექანიზმები, რომლებიც კლინიკური სწავლების გარანტიას.</p>
<p>3.1. ადგილობრივი შრომითი ბაზრის განახლებული კვლევა უნდა ჩატარდეს სტუდენტთა არსებულ კონტიგენტთან და მის სამომავლო ზრდასთან მიმართებით.</p>	<p><b>არ არის შესრულებული</b> კვლევა არ განახლებულა, არ ჩატარებულა ანალიზი სტუდენტთა არსებულ კონტიგენტთან და მის სამომავლო ზრდასთან მიმართებით.</p>
<p>3.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამების ხელმძღვანელებმა და დეკანებმა უნდა უზრუნველყონ სწავლების შესაბამისობა გეომედის შიდა რეგულაციასთან.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b> სასწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობს შიდა რეგულაციების დაცვით, თუმცა რიგი საკითხების (ელექტრონული პორტალი, კლინიკურ ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობა, კონტიგენტის დაგეგმვა და ა.შ.) მოგვარება და იმპლემენტირება ამ ეტაპზე პროცესშია და არ არის დასრულებული.</p>
<p>3.2. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ნათლად განსაზღვრული აკადემიური კალენდარი, რომელიც საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, თუ აუცილებელია, შესწორებებით. თუმცა ყველა ეს დოკუმენტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ორივე ენაზე მთელი დადგენილი დროის განმავლობაში</p>	<p><b>შესრულებულია</b> აკადემიური კალენდარი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ორივე ენაზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის; ამასთანავე, აკადემიური კალენდარი ინფორმატიულია (მოიცავს ინფორმაციას სასესიო, სააუდიტორიო, არდადეგების პერიოდების შესახებ პროგრამების შესაბამისად)</p>
<p>3.2. გეომედის ვებ-საიტზე უნდა არსებობდეს ცალკე განყოფილება ჩაბარების შესახებ, რომელშიც მოცემული იქნება კონკრეტულ პროგრამებზე დაშვების ინფორმაცია, მათ შორის პირობები, თარიღები და ა.შ.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b> საგანმანათლებლო პროგრამები და მათზე დაშვების წინაპირობები განთავსებულია ვებ-გვერდზე, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ეს კატალოგი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ არ არის გამოყოფილი ცალკე განყოფილება მიღების დეტალური პირობების შესახებ (წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ვადები და ა.შ.), რომელიც დაინტერესებული პირებისთვის ვიზუალურად უფრო აქმადა და ინფორმატიული იქნებოდა.</p>
<p>3.2 უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პროგრამის სტრუქტურაზე წვდომა, ყოველ შემთხვევაში გეომედის სტუდენტებისა და პერსონალისთვის მაინც.</p>	<p><b>შესრულებულია</b> სტუდენტებისა და პერსონალისთვის პროგრამის სტრუქტურა, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე, ხელმისაწვდომია პაროლის მეშვეობით, სხვა დაინტერესებულ პირებისთვის წვდომა შეზღუდულია. სტუდენტებს აქვთ წვდომა პროგრამასა და სილაბუსებზე, რომელიც ასევე განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პლატფორმაზეც.</p>

<p>3.2. უნდა ტარდებოდეს გადმოყვანილ სტუდენტთა ჩართულობის მუდმივი სიღრმისეული ანალიზი მათი აკადემიური მზაობის დასადასტურებლად და შემდგომი რეალური საჭიროებების დასადგენად, აგრეთვე - სტუდენტების სხვა სასწავლო დაწესებულებებში გადასვლის მიზეზები.</p>	<p><b>არ არის შესრულებული</b>  ამ ეტაპზე არ არის ჩატარებული გადმოყვანილ სტუდენტთა სიღრმისეული ანალიზი აკადემიური მზაობის დასადასტურებლად და შემდგომი რეალური საჭიროებების დასადგენად</p>
<p>3.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა არა მხოლოდ უნდა შეაფასოს გამოკითხვები, არამედ მოძებნოს გზები, თუ როგორ უნდა შემოწმდეს სტუდენტების პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების შეფასება.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>  დოკუმენტაციის დონეზე უსდ-ს გააზრებული და შემუშავებული აქვს პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების შეფასების სისტემა, თუმცა პრაქტიკულად ის ჯერ არ განხორციელებულა</p>
<p>3.3. რეგულარულად უნდა შეფასდეს ინტეგრირების დონე დიპლომირებული მედიკოსის სასწავლო პროგრამებში.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>  უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია ინსტრუმენტები, რომელიც ხელს უწყობს პროგრამის ეფექტურობის და შედეგების მიღწევის განსაზღვრას, თუმცა რეალურად უსდ ამ ეტაპზე არ იყენებს ამ ინსტრუმენტებს</p>
<p>4.1. შემუშავდეს და დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს მიერ აკადემიური პერსონალის არჩევისა და დანიშვნის წესი, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობას და მდგრადობას.</p>	<p><b>შესრულებულია</b>  რეკომენდაციის თანახმად, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია და დამტკიცებულია „პერსონალის არჩევის და დანიშვნის წესი“</p>
<p>4.1. გაუმჯობესდეს პერსონალის პროფესიული განვითარების პოლიტიკა და პრაქტიკა ამ პროცესში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების როლის და ფუნქციების იდენტიფიცირებით, დამტკიცებითა და განხორციელებით.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>  უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახური. ამ ეტაპზე გადამზადებული 26 ლექტორი. უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, თუმცა აღნიშნული პროცესი არ არის სტრუქტურული, სისტემურად არ ხდება ტრენინგების მიმართულებების და საჭიროებების შესწავლა/იდენტიფიცირება და ტრენინგები ჩატარდა ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად. ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებისთვის ტრენინგები ჯერ არ ჩატარებულა.</p>
<p>4.1. უზრუნველყოფილ იქნეს პერსონალის საჭიროებებზე ორიენტირება და ტრენინგების ფინანსური მხარდაჭერა.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>  უნივერსიტეტის მიერ ამ ეტაპზე საჭიროებების იდენტიფიცირება არ განხორციელებულა, ადმინისტრაცია დაეყრდნო ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციებს. უსდ-ს მიერ გათვალისწინებულია ტრენინგების ფინანსური მხარდაჭერა.</p>

<p>4.1. შემუშავდეს, დამტკიცდეს და განხორციელდეს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრირების პროცედურა.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოში ადაპტაციის პროცედურა. ინტერვიუს დროს, უნივერსიტეტში ინტეგრირების პროცესების დეტალური აღწერა მოხდა.</p>
<p>4.1. პერსონალის შეფასების და კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები გამოყენებულ იქნეს სწავლებისა და კვლევების ხარისხის ასამაღლებლად, ისევე როგორც უნივერსიტეტის მართვის გასაუმჯობესებლად.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უნივერსიტეტი ახორციელებს პერსონალის შეფასების გამოკითხვას და კმაყოფილების კვლევას. უსდ-მ გაანალიზა გასული სემესტრის შედეგები და დაგეგმა შესაბამის აქტივობები.</p>
<p>4.1. შემუშავდეს და დამტკიცდეს სამუშაოს აღწერილობები სხვადასხვა ტიპის პერსონალისათვის და დადგინდეს შესრულების ძირითადი ინდიკატორები პერსონალის ეფექტიანი შეფასებისათვის.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>          უსდ-ს მიერ შემუშავებულია პერსონალის სამუშაოს აღწერილობები, თუმცა ამ ეტაპზე შესრულების ინდიკატორები არ არის დადგენილი სხვადასხვა ტიპის პერსონალისთვის</p>
<p>4.2. დაწესებულებამ გამოიყენოს სრული განაკვეთის ექვივალენტი (FTE) ნახევარ განაკვეთზე მომუშავე და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის და ასევე, აფილირებული პერსონალის სასწავლო სამუშაო დატვირთვის გასაზომად.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>          უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „აფილირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობა, დატვირთვის ზღვრული ოდენობა და ანაზღაურების წესი“, რომელიც განსაზღვრავს დატვირთვის ოდენობას დაკავებული პოზიციების მიხედვით და შესაბამის ანაზღაურებას. დოკუმენტი არ ითვალისწინებს მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვის. უნივერსიტეტის განმარტებით გამოყენებულია სრული დატვირთვის ეკვივალენტი.</p>
<p>4.2. დაწესებულებამ შეიმუშაოს აკადემიური პერსონალის მთლიანი სამუშაო დატვირთვის გამოსაანგარიშებელი მკაფიო სქემა, მათ შორის სწავლებაზე, კურსების მომზადებაზე, კონსულტაციებზე, სადიპლომო თემების ხელმძღვანელობაზე, კვლევით საქმიანობაზე, ადმინისტრაციულ სამუშაოზე და ა.შ.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>          უსდ-მ შეიმუშავა „აფილირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობა, დატვირთვის ზღვრული ოდენობა და ანაზღაურების წესი“, სადაც გაწერილია პროცენტული დაანგარიშება.</p>
<p>4.2. სწავლების თითოეული მეთოდისთვის (მაგალითად, PBL, სწავლება პაციენტის საწოლთან) დაწესებულებამ გაზომოს სტუდენტი/მასწავლებლის თანაფარდობა და დაიცვას უკვე არსებული საკუთარი წესები.</p>	<p><b>არ არის შესრულებული</b>          უნივერსიტეტის მიერ სტუდენტი/მასწავლებლის თანაფარდობა შედგენისას არ არის გათვალისწინებული ის კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს და ემსახურება კონტიგენტის დაგეგმვას და ხარისხიანი სწავლებისთვის სასწავლო ცხრილის შემუშავებას</p>
<p>4.2. დაწესებულებამ ობიექტურად გაითვალისწინოს სტუდენტების/პედაგოგის რაოდენობათა თანაფარდობა შესაბამისი პერსონალის სასწავლო დატვირთვის მიხედვით.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>          უნივერსიტეტის მიერ გადასახედია სტუდენტების/პედაგოგის რაოდენობათა თანაფარდობა კლინიკური კურსების მიმართულებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სასწავლო პრაქტიკის დაწესებულებების</p>

	შესაძლებლობები და იქ დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა.
5.1. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მკაფიო და ზუსტი, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამით დაინტერესებული საერთაშორისო სტუდენტებისათვის, მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.	<p><b>შესრულებულია</b></p> <p>სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესები განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.</p> <p>დიპლომირებული მედიკოსის უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებს (რომლებიც უნივერსიტეტის სტუდენტების დიდ ნაწილს წარმოადგენენ), შესაძლებლობა აქვთ, ინგლისურ ენაზე მიიღონ ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის მოპოვების / შეცვლის და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, ასევე, მათი უფლებების დაცვის მექანიზმებზე.</p>
5.1. დაწესებულებამ უნდა შეიტანოს გარკვეული დებულება სტუდენტურ კონტრაქტებში.	<p><b>შესრულებულია</b></p> <p>სტუდენტის კონტრაქტი განსაზღვრავს მხარეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს. ხოლო ის საკითხები, რაც უშუალოდ კონტრაქტით არ არის განსაზღვრული, რეგულირდება შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, შიდა სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.</p>
5.2. აკადემიურ პერსონალს უნდა ჰქონდეს ფიქსირებული ყოველკვირეული საკონსულტაციო საათები სტუდენტთა დასახმარებლად, ფიზიკურად ან ვიდეო კონფერენციის მეშვეობით, რომლებიც ცხადდება სემესტრის დასაწყისში.	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b></p> <p>გაცნობიერებულ აკადემიურ პერსონალთან საკონსულტაციო საათების განრიგი გამოკრულია უნივერსიტეტის შენობაში, შესაბამის სტენდზე, თუმცა სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად არ გამოვლინდა კონსულტაციების გამართვის დროს აღნიშნული განრიგით სარგებლობის ან ამ განრიგის შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის მაგალითები, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ ეს პრაქტიკა კვლავ დანერგვის ეტაპზეა.</p>
5.2. უნდა გაუმჯობესდეს კარიერული დახმარების სერვისები უნივერსიტეტის გარეთ პრაქტიკისა და სტაჟირების პროგრამების განხორციელებით.	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b></p> <p>ინტერვიუების შედეგად ჩანს, რომ დაწესებულებამ დაიწყო კარიერული დახმარების სერვისების გაუმჯობესებაზე მუშაობა, თუმცა კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი დეფიციტი იმ სტაჟირებისა და სამუშაო შესაძლებლობების კუთხით, რომელსაც სთავაზობენ მესამე მხარის დამსაქმებლები.</p>
5.2. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.	<p><b>მეტწილად შესრულებულია</b></p> <p>სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დასახელდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში მათი ჩართულობის მაგალითები, თუმცა ისინი</p>

	<p>ეხებოდა ცალკეული პროგრამის სტუდენტების მიერ კონკრეტულ სასწავლო კურსთან მიმართებით გაცემულ უკუკავშირს. უმჯობესი იქნება, რომ ყველა ფაკულტეტისა თუ პროგრამის სტუდენტს თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეთ, ჩაერთონ ხარისხის უზრუნველყოფის ნებისმიერ ეტაპზე და ამას მიეცეს მეტად სისტემური ხასიათი.</p>
<p>5.2. უნივერსიტეტმა უნდა განამტკიცოს საერთაშორისო კავშირები; შექმნას სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისა და უნივერსიტეტს მიღმა პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b> დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების ინფორმირებულობასა და ჩართულობას ადგილობრივ პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე, მათი ინიციატივების მხარდაჭერას. მაგრამ სტუდენტები კვლავ საჭიროებენ მეტ შესაძლებლობებს საერთაშორისო მობილობისა და უნივერსიტეტს მიღმა პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. დაწესებულება მუშაობს საერთაშორისო კავშირების გაფართოებასა და სტუდენტებისთვის ამ მიმართულებით სამომავლოდ მეტი შესაძლებლობის შექმნაზე, თუმცა შედეგების შეფასება ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი, რადგან პროცესების უმეტესობა ამ მომენტისთვის საწყის ეტაპზეა.</p>
<p>5.2. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სტუდენტთა ჯანდაცვა და ფსიქოლოგიური დახმარება, განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტებისათვის.</p>	<p><b>არ არის შესრულებული</b> ვიზიტის დროს დაწესებულებისა და სტუდენტების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი მაგალითები იმის საჩვენებლად, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა ფსიქოლოგიური დახმარების სერვისების დასაწერგად.</p>
<p>5.2. სტუდენტებთან ურთიერთობისა და სტუდენტური ცენტრის პერსონალი უნდა იყოს დაკომპლექტებული ინგლისური ენის კარგად მცოდნე პერსონალით.</p>	<p><b>შესრულებულია</b> ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურს დაემატა ინგლისური ენის მცოდნე თანამშრომელი. ასევე დახელოვნებისა და რეზიდენტურის სამსახურთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ გადამზადდა დაახლოებით 3 პერსონალი საკომუნიკაციო ინგლისური ენის ცოდნის ნაწილში და ამ მიმართულებით იგეგმება უფრო მეტი პერსონალის გადამზადება</p>
<p>5.2. სტუდენტებთან ურთიერთობის ცენტრმა უნდა შექმნას კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა, დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზა და სტუდენტთა CV-ების ბანკი, რაც შესაძლებელს გახდის სისტემატურ კარიერულ დახმარებას და სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ეფექტიანად ჩატარებას მათი პირადი, პროფესიული და აკადემიური განვითარების შესახებ.</p>	<p><b>შესრულებულია</b> ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურმა დაიწყო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზების განვითარება, ასევე, სტუდენტთა CV-ების ბანკის შექმნა. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ ამ საკითხებზე უნივერსიტეტის მხრიდან არაერთხელ მოხდა მათთან დაკავშირება.</p>

<p>6.1. უნივერსიტეტმა უფრო დაბალანსებულად უნდა გააძლიეროს კვლევითი პროფილი ფაკულტეტებზე, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ კვლევების დღის წესრიგი, მოახდინონ ისეთ კვლევით სფეროებზე ფოკუსირება, რომელიც უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის.</p>	<p><b>მეტწილად შესრულებულია</b>  უსდ-ს მიერ შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უნივერსიტეტთან ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისათვის ფონდი და ფაკულტეტებისათვის განსაზღვრულია სამეცნიერო კვლევითი პრიორიტეტები. მიუხედავად გაწეული მუშაობისა, საჭიროა პრიორიტეტული მიმართულებების ჩამოყალიბება ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების კლასიფიკატორების მიხედვით და დეტალური გეგმის გაწერა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის.</p>
<p>6.1. უნდა დაიბეჭდოს მეტი ინგლისურენოვანი პუბლიკაცია საერთაშორისო აღიარებულ ჟურნალებში, რათა გაიზარდოს გავრცელებისა და აღიარების დონე და გაჩნდეს საერთაშორისო კვლევაში მონაწილეობის შესაძლებლობები.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>  რეკომენდაცია გაზიარებულია და მუშაობა დაწყებულია ამ მიმართულებით. უსდ აფინანსებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის სამეცნიერო-კვლევითი სტატიის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს თუ სხვა ნაშრომების გამოქვეყნებას. გარდა ამისა, სამეცნიერო ფონდის მიერ მოთხოვნილია პროექტის დაფინანსებისა, მინიმუმ 1 სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ჟურნალში.</p>
<p>6.2. უნდა შემუშავდეს კვლევების ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების საიმედო გეგმა.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>  უსდ-ს დაწყებული აქვს მუშაობა, სამწლიან სამოქმედო გეგმაში ინტერნაციონალიზაციის გაზრდის მიზნით გაწერილია კონფერენციების, სიმპოზიუმების მოწყობა, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან მემორანდუმების გაფორმება. ხელშეკრულებები გაფორმებულია თურქეთის, უკრაინის, ინდოეთის უნივერსიტეტებთან.</p>
<p>6.2. უნდა განხორციელდეს ახალგაზრდა სპეციალისტთა მოზიდვის სტრატეგია. უნდა ჩატარდეს დაგეგმილი ღია კონკურსი.</p>	<p><b>მეტწილად შესრულებულია</b>  უსდ-ს მიერ განსაზღვრულია ახალგაზრდა სპეციალისტთა მოზიდვის სტრატეგია, რომელიც ასახულია „ახალგაზრდა კადრების მოზიდვის და კვლევით საქმიანობაში ჩართვის მეთოდოლოგიაში“ და სამოქმედო გეგმაში.</p>
<p>6.2 საჭიროა ცოდნის მიღება კვლევითი პროექტების ღია კონკურსებში მონაწილეობისთვის. საჭიროა აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალისათვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო სააგენტოებისათვის კვლევითი წინადადებების შედგენაზე.</p>	<p><b>მეტწილად შესრულებულია</b>  უსდ-ს მიერ რეკომენდაცია გაზიარებულია, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული კონკურსისთვის ჩატარდა პერსონალის ტრენინგი ფონდში წარსადგენი პროექტების მომზადების მიზნით. თუმცა ამ მიმართულებით მუშაობა მეტი ინტენსივობით უნდა გაგრძელდეს და რეკომენდებულია შემუშავდეს გარკვეული ნიშნულები.</p>
<p>6.2 საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური უნდა შეიცავდეს სამეცნიერო კვლევით განყოფილებას, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და მეცნიერებისათვის ევროპულ და</p>	<p><b>შესრულებულია</b>  უსდ-მ მოახდინა ცვლილება და ვიცე-რექტორს სამეცნიერო დარგში დაუქვემდებარა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რაც</p>

<p>საერთაშორისო დონეზე კვლევის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და დახმარებას.</p>	<p>ხელს შეუწყობს სამეცნიერო კოლაბორაციას ევროპულ და საერთაშორისო დონეზე.</p>
<p>6.2 დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო კვლევითი გამოცდილებისა და უნარების მოთხოვნა აკადემიური პერსონალის სამსახურში აყვანისას.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უსდ პერიოდულად აცხადებს კონკურსებს, როგორც აკადემიური, ასევე სამეცნიერო პერსონალის აყვანის მიზნით. ყველა გამოცხადებულ კონკურსში მოთხოვნილია უკანასკნელი წლების სამეცნიერო გამოცდილება, მათი გრანტებში მონაწილეობის ისტორია და სხვა სამეცნიერო გამოცდილების დამადასტურებელი პარამეტრები.</p>
<p>6.2 დაწესებულებამ უნდა იმუშაოს საერთაშორისო ჟურნალების მონაცემთა ბაზებში უნივერსიტეტის პუბლიკაციის „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე საკითხები“ განთავსებაზე.</p>	<p><b>მეტწილად შესრულებულია</b>          უსდ-მ მოახდინა ჟურნალის გაციფრულება, გააფორმა ხელშეკრულება „ასოციაცია მეცნიერებისათვის“, რომელთა ძალისხმევით ჟურნალი შესულია Crossref, SCILIT (<a href="https://www.scilit.net/journal/6440603">https://www.scilit.net/journal/6440603</a>) და იძებნება GOOGLE SCHOLAR-ში.</p>
<p>6.2 დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტთა ჩართვა კვლევებში და მათი აქტივობის მონიტორინგი.</p>	<p><b>მეტწილად შესრულებულია</b>          უნივერსიტეტი რეკომენდაციას ითვალისწინებს და აწყობს ყოველწლიურად სტუდენტურ კონფერენციებს, აფინანსებს სტუდენტებს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, მათი წახალისება პროექტებში ჩართვით და სხვა).</p>
<p>6.3 კვლევების შეფასების მოქმედი პროცესი გაფართოვდეს კვლევის ანალიზისა და შეფასების ინტეგრირებულ სისტემამდე, რომელიც მოიცავს ფაკულტეტებს, მეცნიერებს, ადამიანურ რესურსს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.</p>	<p><b>მეტწილად შესრულებულია</b>          უსდ-ს გააჩნია „აფილირებული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობისა და კვლევების ხარისხის მუშაობის შეფასების სისტემა“. აღნიშნული სისტემის შესაბამისად, უსდ ყოველწლიურად ახორციელებს შეფასებას და ახდენს მათ რანჟირებას.</p>
<p>6.3 დაინერგოს აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის მოთხოვნა.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უსდ-ს მიერ მოთხოვნილია, რომ თითოეული პერსონალმა ყოველწლიურად წარადგინოს კვლევითი საქმიანობის ანგარიში.</p>
<p>6.3. დაწესებულებამ უნდა დაუკავშიროს კვლევის შეფასების შედეგები და კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა პერსონალის დატვირთვასა და ანაზღაურებას.</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უსდ-ს მიერ აკადემიური პერსონალისთვის სამუშაო დროის დაყოფილია კვლევითი (35%) და სასწავლო აქტივობისთვის (65%). მეცნიერთანამშრომლები კი ძირითადად ჩართული არიან პროექტების განხორციელებაში და ეს ყველაფერი აისახება ანაზღაურებაში.</p>
<p>6.3. თითოეულ აკადემიკოსზე უნდა განისაზღვროს გამოქვეყნებული სამუშაოს მინიმალური წლიური ზღვარი</p>	<p><b>შესრულებულია</b>          უსდ-ს მიერ ყოველწლიურად ვასდება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა ქულობრივად და მინიმალური ზღვარი არის 8 ქულა.</p>
<p>6.3. რეგულარულად გამოქვეყნდეს ანგარიშები კვლევითი საქმიანობის შესახებ.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b>          უსდ-ს ვებ გვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია მიმდინარე და განხორციელებულ კვლევებზე,</p>

	<p>თუმცა სრული სამეცნიერო-კვლევითო მუშაობის ანგარიშები არ არის დადებული, რადგანაც კვლევის შედეგები ქვეყნდება შესაბამის სპეციალობის ჟურნალებში სტატიების სახით ან მოხსენებულია სამეცნიერო სიმპოზიუმებზე.</p>
<p>7.1. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კლინიკური უნარების ლაბორატორიის სათანადოდ აღჭურვა სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p>	<p><b>შესრულებულია</b></p> <p>კლინიკური უნარების ლაბორატორიაში ინახა კანქვეშა ინექციების, ჭრილობის მოვლისა და შარდის ბუმტის კათეტერიზაციის განსახორციელებლად საჭირო ახალი მანეკენები და მულაჟები. ასევე, სხვა აღჭურვილობა, რომლებიც მოთხოვნილია სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლით.</p>
<p>7.1. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ადეკვატური გასახდელი ოთახები კარადებით ყველა ობიექტზე, სადაც მიმდინარეობს სწავლება.</p>	<p><b>შესრულებულია</b></p> <p>ვიზიტის დროს დათვალიერებულ სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ობიექტებზე ნანახი იქნა არაერთი გასახდელი ოთახი, რომელთა სარგებლობა შეუძლიათ სტუდენტებს.</p>
<p>7.2 მოინახოს სტუდენტებისა და პერსონალის მიერ ელექტრონული ბაზების გამოყენების გაზრდის გზები.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b></p> <p>დაწესებულებამ დაიწყო ელექტრონული ბაზების გამოყენების შესახებ ტრენინგების/სემინარების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მათი გამოყენების სტატისტიკის ზრდას, თუმცა ეფექტიანი შედეგისთვის, მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი მექანიზმების შემუშავება/დანერგვა.</p>
<p>7.2 დაწესებულებამ უნდა გააუმჯობესოს საბიბლიოთეკო რესურსების დაგეგმვის პროცესი.</p>	<p><b>არ არის შესრულებული</b></p> <p>ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ახალი და დანერგილი მექანიზმი, რომელიც გააუმჯობესებდა საბიბლიოთეკო რესურსების კვლევას, აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტების მიერ წარდგენილი მოთხოვნების პრიორიტეტიზაციასა და კლასიფიკაციას.</p>
<p>7.2 ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზის გაცნობა უნდა მოეწყოს წელიწადში მინიმუმ ორჯერ, რადგან გეომედი სტუდენტებს წელიწადში ორჯერ იღებს. სწავლის პერიოდში ყველა სტუდენტს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს დამატებითი ტრენინგები.</p>	<p><b>ნაწილობრივ შესრულებულია</b></p> <p>ექსპერტების ვიზიტამდე ერთი თვით ადრე (2021 წლის 29 ოქტომბერი) დაწესებულებაში ჩატარდა სემინარი “სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების გზები”. მსგავსი ტიპის აქტივობები, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ელექტრონული ბაზების შესახებ ინფორმირებულობისა და, შესაბამისად, მათი გამოყენების გაზრდას. თუმცა, ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი ერთჯერადად გატარებული ღონისძიებების შედეგების შეფასება, რადგან რეკომენდაცია მოიცავს სტუდენტებისთვის სწავლის პერიოდში პერიოდულად ტრენინგების ჩატარების ნაწილსაც.</p>



<p>7.2 შემოწმდეს სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში.</p>	<p><b>შესრულებულია</b> სილაბუსებში მითითებული წიგნების ელექტრონულ კატალოგში მოძიება მოხდა შემთხვევითობის პრინციპით და ნანახი იქნა როგორც ძირითადი, ასევე – დამხმარე ლიტერატურის ეგზემპლარები.</p>
<p>7.3 პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმები განთავსებული უნდა იყოს ვებგვერდზე.</p>	<p><b>შესრულებულია</b> ვიზიტის პერიოდში მოხდა ვებ-გვერდზე განთავსებული პროგრამების აღწერილობების გაცნობა, სადაც ასევე წარმოდგენილი იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.</p>
<p>7.3 აკადემიური კალენდარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებგვერდზე</p>	<p><b>შესრულებულია</b> ხელმისაწვდომია ვებგვერდზე, ორივე ენაზე.</p>
<p>7.3. ცხრილები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებგვერდზე შესვლისთანავე.</p>	<p><b>არ არის შესრულებული</b> ცხრილები არ არის ხელმისაწვდომი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პლატფორმაზე.</p>
<p>7.3. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სხვა კომერციულ ვებგვერდებს, რომლებიც ასრულებენ აგენტის როლს უცხოელი სტუდენტებისათვის, ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია „გეომედის“ შესახებ, თუმცა დაწესებულებამ არ უნდა შეიქმნას წარმოდგენა, რომ ისინი უნივერსიტეტის ნაწილს წარმოადგენს. საუკეთესო პრაქტიკაა მოკლე ინფორმაციის განთავსება სააგენტოს საიტზე გეომედის ვებგვერდის ბმულითურთ სადაც იქნება წარმოდგენილი ოფიციალური ინფორმაცია.</p>	<p><b>შესრულებულია</b> Geomedi India წარმოადგენს მთავარ სააგენტოს, რომელიც ასრულებს აგენტის როლს უცხოელი სტუდენტებისათვის. ვიზიტის პერიოდში სააგენტოს ვებ-გვერდის (geomediindia.com) დათვალიერებით შეიძლება ითქვას, რომ აქ ძირითადად წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოში არსებულ რეგულაციებსა თუ საქართველოში სწავლის უპირატესობებზე, ხოლო გეომედთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილია იმ მოცულობით, რაც საკმარისია დაწესებულების ცნობადობის გასაზრდელად.</p>
<p>7.4. ჩაშალეთ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ფაკულტეტებისა მიხედვით.</p>	<p><b>შესრულებულია</b> დაწესებულებამ წარმოადგინა ბიუჯეტის ახალი ვერსია, სადაც ხარჯვითი ნაწილი ჩაშლილია ფაკულტეტების მიხედვით, ასევე, კლინიკების ბიუჯეტიც, სადაც წარმოდგენილია შემოსავლები და ხარჯები.</p>
<p>7.4. უნდა გაიზარდოს პროფესიული განვითარებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი.</p>	<p><b>შესრულებულია</b> მოხდა მეცნიერებისა და პროფესიული განვითარების ბიუჯეტისა (388 900 ლ) და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიუჯეტების განცალკევება (170 00 ლ) და გაიზარდა ამ პუნქტებისთვის გამოყოფილი თანხების მოცულობა.</p>
<p>7.4. უნდა გაიზარდოს ინტერნაციონალიზაციაზე გამოყოფილი ბიუჯეტი</p>	<p><b>შესრულებულია</b> ინტერნაციონალიზაციაზე გამოყოფილი ბიუჯეტი 15 000 ლარიდან გაიზარდა 50 000 ლარამდე.</p>
<p>7.4. ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარე ფინანსური აუდიტის ანგარიში.</p>	<p><b>შესრულებულია</b></p>

	<p>გარე ფინანსური აუდიტის ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <a href="https://geomedi.edu.ge/wp-content/uploads/pdf/audit_daskvna_2020.pdf">https://geomedi.edu.ge/wp-content/uploads/pdf/audit_daskvna_2020.pdf</a></p>
<p>7.4. უკეთესი მონიტორინგისა და კონტროლისთვის თითოეული კლინიკის ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს შემოსავლებსა და ხარჯებს.</p>	<p><b>შესრულებულია</b> დაწესებულებამ წარმოადგინა ბიუჯეტის ახალი ვერსია, სადაც ხარჯვითი ნაწილი ჩამოიღია კლინიკების ბიუჯეტიც, სადაც წარმოდგენილია შემოსავლები და ხარჯები.</p>

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

### რეკომენდაციები

#### სტანდარტი 1:

- SWOT ანალიზის შედეგების გამოყენებით გარე შეფასების შედეგებიც და სამოქმედო განვითარების გეგმაში კიდევ უფრო ნათლად წარმოადგინეთ უნივერსიტეტის ყველა სტრატეგიულ მიზანის მისაღწევად შესაბამისი ამოცანა/აქტივობა;
- განახორციელეთ სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების მონიტორინგი თქვენ მიერ განსაზღვრული/დადგენილი ინტენსიობით
- განახლეთ ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა სტრატეგიული მიზნების რისკებისა და საფრთხეების სრულყოფილად მართვის მიზნით

#### სტანდარტი 2:

- უზრუნველყავით მონიტორინგი და საჭიროებისამებრ, თანამშრომელთა გადამზადება, რომ ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელოს ის ფუნქცია-მოვალეობები, რაც მათ განესაზღვრათ განახლებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით/დებულებით.
- გახადეთ თანამდებობრივი ინსტრუქციები უფრო დეტალური/კონკრეტული როგორც ფუნქცია-მოვალეობების გაწერის ნაწილში, ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილში
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კრიტიკული ოპერაციების უწყვეტობა მოადგილეების მეშვეობით და საერთო პრაქტიკის დანერგვა
- გაზარდეთ გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობა და განახორციელეთ გაცვლით პროგრამები პერსონალისთვის
- გააუმჯობესეთ ხარისხის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო ერთეულების დონეზე
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გარე დაინტერესებული მხარეების სისტემატური და ეფექტური მონაწილეობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში, უკუკავშირის გაცემისა და ფორმალური პროცედურების ჩამოყალიბების ჩათვლით.
- უნივერსიტეტის მმართველობამ უნდა განიხილოს პლაგიატის აღმოჩენის საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის შემენა, მისი LMS სისტემაში ინტეგრირება და პლაგიატზე შეამოწმოს სტუდენტების ყველა წერიტი ნაშრომი.

#### სტანდარტი 3:

- რეკომენდირებულია, კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად და მასში გაწერილი ყველა კრიტერიუმის ანალიზის საფუძველზე სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის და სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სადაც მოიაზრება გარდა ბაზრის ზოგადი კვლევისა, ასევე კლინიკური პრაქტიკის ობიექტებთან კონტრაქტების განახლება (სასწავლო კურსების და სტუდენტების რაოდენობის, ასევე სასწავლო ოთახების/სივრცეების გამოყოფით, ლექტორის/ადგილობრივ სუპერვაიზერის მითითებით).

- რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მართვის და ცხრილის შემუშავების პრინციპების გადახედვა, რათა მოხდეს ცხრილის გაზიარება სემესტრის დაწყებამდე სტუდენტებისთვის და ლექტორებისთვის, განსაკუთრებით კლინიკური კურსების პრაქტიკული მეცადინეობების.
- რეკომენდირებულია, გადაიხედოს სტუდენტთა მობილობის საკითხი ერთსაფეხურიან მედიცინის პროგრამაზე და შემუშავდეს კრიტერიუმები, რომელიც მიმართული იქნება უნივერსიტეტში სწავლის მაღალი ხარისხისკენ
- რეკომენდირებულია მონიტორინგი გაეწიოს სასწავლო პროცესს, რომ სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს პროგრამასა და სილაბუსებში გაწერილი მეთოდების (მედიცინის პროგრამის შემთხვევაში, ასევე მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად)
- რეკომენდირებულია განხორციელდეს პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების იმ შედეგების შეფასების ანალიზი, რომლებიც რეალურად დანერგილი და გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის დროს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას და ხარისხის უზრუნველყოფას
- გეომედის ვებ-საიტზე უნდა არსებობდეს ცალკე განყოფილება „მიღების“ შესახებ, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია სხვადასხვა საფეხურზე და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, მიღების ვადების, წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ა.შ. შესახებ.

#### სტანდარტი 4:

- უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს უნივერსიტეტის თანამშრომლების საჭიროებების სისტემური შესწავლა და ამის მიხედვით განსაზღვროს ტრენინგების მიმართულებები როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებისთვის
- დადგინდეს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის შესწავლის შედეგების კრიტერიუმები და ინდიკატორები.
- რეკომენდირებულია კლინიკურ როტაციებზე 12-14-სტუდენტთან ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობის შემცირება
- გადაიხედოს დატვირთვის სქემა აკადემიური პერსონალის მიერ ერთი ან რამდენიმე ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში
- უნივერსიტეტის მიერ გადასახედია სტუდენტების/პედაგოგის რაოდენობათა თანაფარდობა კლინიკური კურსების მიმართულებით, სადაც გათვალისწინებულ უნდა იყოს სასწავლო პრაქტიკის დაწესებულებების შესაძლებლობები და იქ დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კლინიკური და სასწავლო დატვირთვა

#### სტანდარტი 5:

- საჭიროა აკადემიურ პერსონალთან საკონსულტაციო სერვისებისა და შესაბამისი განრიგების შესახებ სტუდენტების ინფორმირების გაზრდა.
- გაუმჯობესდეს კარიერული დახმარების სერვისები უნივერსიტეტის გარეთ პრაქტიკისა და სტაჟირების პროგრამების განხორციელებით.
- ყველა პროგრამისა და ფაკულტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს უნდა მიეცეთ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში ჩართვის მეტი შესაძლებლობა.
- საჭიროა საერთაშორისო კაშირების განმტკიცება, საერთაშორისო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდა.
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სტუდენტთა ფსიქოლოგიური დახმარების სერვისები, განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტებისათვის.

#### სტანდარტი 6:

- რეკომენდებულია პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების კლასიფიკატორების მიხედვით,
- რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეალური გეგმის შემუშავება კონკრეტული შესრულების ინდიკატორების მითითებით;
- რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის გეგმის დეტალური გაწერა, განსაკუთრებით სამეცნიერო მიმართულებით;

- სტუდენტების, ახალგაზრდა პერსონალის და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით საჭიროა მინიმალური ზღვრების/ინდიკატორების შემუშავება და აგრეთვე ვრცელი და ყოვლისმომცველი პიარ კამპანიის წარმოება მიმართულებით
- რეგულარულად გამოქვეყნდეს ანგარიშები კვლევითი საქმიანობის შესახებ

### სტანდარტი 7:

- მოინახოს სტუდენტებისა და პერსონალის მიერ ელექტრონული ბაზების გამოყენების გაზრდის კიდევ უფრო მეტად ეფექტიანი გზები
- გაუმჯობესდეს საბიბლიოთეკო რესურსების დაგეგმვის პროცესი.
- უზრუნველყავით სასწავლო ცხრილების განთავსება სტუდენტისა და პედაგოგის პროფილიდან ელექტრონულ ბაზებში

## რჩევები

### სტანდარტი 1:

- გადახედეთ გეგმას სადოქტორო საფეხურის დამატების ნაწილში, რეალური ვადებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმეთ და განახორციელეთ ქმედითი ამოცანები/აქტივობები დასახული მიზნის მისაღწევად;
- სამოქმედო გეგმაში გახადეთ ვიზუალურად უფრო აღქმადი გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულებაზე რომელი პირები/სტრუქტურული ერთეულები არიან პასუხისმგებელნი.

### სტანდარტი 2:

- უნივერსიტეტში ორგანიზაციულ სტრუქტურის დონეზე განხორციელებულ ცვლილებებთან, კერძოდ თანამდებობრივი დაქვემდებარებებისა და ახალი ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებით მოახდინეთ თანამშრომლების საფუძვლიანი ინფორმირება.

### სტანდარტი 6:

- სასურველია სამეცნიერო ფონდისთვის დაფინანსების გაზრდა ან/და თანხების მოძიება სხვა წყაროებიდან, ასევე მეტი კოლაბორაციული პროექტების განხორციელება
- სასურველია, აფილირებული პერსონალი სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მინიმალური ზღვარი გაიზარდოს

### სტანდარტი 7:

- მოახდინეთ წიგნადი ფონდიდან გასარიცხი ისეთი ბეჭდური სახელმძღვანელოების ქსეროასლების იდენტიფიცირება, რომელთა გამრავლებაც არ ხდება საავტორო უფლებების დაცვით და ამასთანავე, გადახედეთ ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე წვდომის უფლებებს (ჩამოტვირთვა და ა.შ.) საავტორო უფლებების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით.
- გაზარდეთ საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის რაოდენობა მედიცინის მიმართულებით
- სასურველია, გეომედის კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ საკუთარ ელექტრონულ ბაზაზე წვდომის უფლება, სადაც განთავსებულია ინფორმაცია მათი სწავლის პერიოდში მიღწეული შედეგების შესახებ, აწარმოეთ გამოკითხვა აღნიშნული ელ-პლატფორმის მეშვეობით და გაზარდეს მისი ფუნქციონალი, რათა კურსდამთავრებულებმა თავად შეძლონ ბაზაში განახლონ ინფორმაცია საკუთარი პროფესიული განვითარების, განათლების და სხვა აქტივობების შესახებ, რაც გაგიადვილებთ კურსდამთავრებულთა ბაზის წარმოებასა და კომუნიკაციას

## საუკეთესო პრაქტიკა

**დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი**

სტანდარტი		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისია მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ის მისია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. საგანმანათლებლო პროგრამები		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. უსდ-ის პერსონალი		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები**

1. ქეთევან აფთარაშვილი (თავმჯდომარე)
2. ია ფანცულაია (წევრი) ი. ფანცულაია
3. ხათუნა საგანელიძე (წევრი)
4. ვახტანგ თებიძე (წევრი) ვ. თებიძე





**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება**

**1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

<p><b>1.1 უსდ-ის მისია</b></p>
<p>უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.</p>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p><i>რეკომენდაცია 1: უნივერსიტეტმა უნდა მოძებნოს გზები და შეიმუშაოს გეგმა, რომელიც ამოავსებს სიცარიელეს რეალობასა და მისიასა და ხედვას შორის.</i></p> <p>სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მისია საჯაროდ გამოქვეყნებულია ვებგვერდზე და განსაზღვრულია უსდ-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებაც - ემსახურება „სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესის ჰარმონიზაციას, ორიენტირებულს სტუდენტის ინტელექტუალურ და შემოქმედებით განვითარებაზე მედიცინის, სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სფეროში“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა განახლებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ - ოქმი 10, 20.10.2021), რომელშიც განხორციელდა ცვლილებები რიგი მიმართულებით: გადაიხედა SWOT ანალიზი, ამის შესაბამისად ცვლილებები შევიდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მაგალითად, ცვლილება არ შეხებია სამოქმედო გეგმის თანახმად 2023 წელს სადოქტორო პროგრამის შექმნის ნაწილს, რაზეც 2021 წელს განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შეფასებულ იქნა როგორც არარეალურ პერსპექტივად კვლევითი საქმიანობის სიმწირის გამო. ამასთან, სტრატეგიული გეგმით 2025 წელს განსაზღვრულია ავტორიზაცია (მესამე საფეხურის დამატება); ხელახალი ვიზიტის დროს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კუთხით ჯერ კიდევ არის ბევრი გასაძლიერებელი მიმართულება (იხ. სტანდარტი 6) და შესაბამისად, მნიშვნელოვანია გეგმების გადახედვა არსებულ რეალობასთან შესაბამისობაში მეტად მოყვანის მიზნით.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უსდ-ს მისია</li> <li>• სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმა</li> <li>• სამოქმედო განვითარების 3-წლიანი გეგმა</li> <li>• უნივერსიტეტის ვებგვერდი</li> <li>• ინტერვიუს შედეგები</li> <li>• თვითშეფასების ანგარიში</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>-</p>
<p><b>რჩევები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გადახედეთ გეგმას სადოქტორო საფეხურის დამატების ნაწილში, რეალური ვადებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმეთ და განხორციელეთ ქმედითი ამოცანები/აქტივობები დასახული მიზნის მისაღწევად;</li> </ul>

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 სტრატეგიული განვითარება**

- o უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- o უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- o უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**რეკომენდაცია 1: SWOT ანალიზის გადახედვის შემდეგ, ხელმეორედ უნდა შემუშავდეს სტრატეგიული გეგმა ისე, რომ ნათლად ასახავდეს უნივერსიტეტის ყველა სტრატეგიულ მიზანს.**

უსდ-მ წარმოადგინა განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელშიც პირველ რიგში ცვლილებები შეეხო SWOT ანალიზს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ SWOT ანალიზის გადახედვის ნაწილში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებიც, სტრატეგიული გეგმისა და ანგარიშის შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულების მიერ ძლიერ მხარედ დამატებით იდენტიფიცირდა „სოციალური პროექტები და სტუდენტთა ჩართულობა“, ხოლო ამოღებულ იქნა „საერთაშორისო პროექტებში - „ისწავლე საქართველოში“, Erasmus+, მონაწილეობა“, რაც რეალობას არ შეესაბამებოდა. უნივერსიტეტის მაღალრეიტინგულობასთან დაკავშირებით ჩანაწერი დაკონკრეტდა და ძლიერ მხარედ აღინიშნა „უნივერსიტეტის მაღალი რეიტინგი საქართველოში“, რაც დასაბუთდა აბიტურიენტთა მიერ გეომედის პროგრამების შემოხაზვის და მობილობით უსდ-ში გადმომსვლელთა მაღალი მაჩვენებლები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მაღალრეიტინგულობის დასადგენად მხოლოდ მიღებისა და შემოხაზვების სტატისტიკა არასაკმარისი ფაქტორებია. დაწესებულებამ შესაძლებლობებში უფრო მეტად გამოკვეთა უცხოელი სტუდენტების გეომედში სწავლისთვის მიმზიდველი გარემო (ცხოვრების ხარჯი, სხვა ქვეყნებთან შედარებით კონკურენტუნარიანი და ა.შ.), ხოლო სუსტ მხარედ დაემატა საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა, PR კამპანიის გაძლიერება, საუნივერსიტეტო აფილირებული კლინიკების რაოდენობის ზრდა, საუნივერსიტეტო ჟურნალის ინდექსირების გაზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ განახლებული SWOT ანალიზი მეტწილად ასახავს უსდ-ს რეალურ მდგომარეობას, თუმცა არაფერია ნათქვამი მასში ხარისხის უზრუნველყოფაზე, საგანმანათლებლო პროგრამებზე (თუ არ ჩავთვლით უცხოელი პერსონალის ჩართულობის გაზრდას), სტუდენტთა კარიერულ განვითარების მხარდაჭერაზე და ა.შ. გეგმა მეტწილად ნათლად ასახავს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს, მაგალითად, კვლევის განვითარება უკვე წარმოჩინდა როგორც სტრატეგიული მიზანი და სამოქმედო გეგმით გაიწერა შესასრულებელი აქტივობები, ასევე, ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება განისაზღვრა ერთ-ერთ ამოცანად და უკვე გაიწერა შესაბამისი შესრულების ინდიკატორებიც (როგორცაა გაფორმებული კონტრაქტები, ფინანსური ანგარიშები და ა.შ.). თუმცა ისევ ღია რჩება სტრატეგიული განვითარების მიზანი მენეჯმენტის გაუმჯობესების მუდმივი ზრუნვის ნაწილში, ხოლო რაც შეეხება SWOT ანალიზში დასახელებულ რისკს პერსონალის გადინების ნაწილთან დაკავშირებით, ინტერვიუს შედეგებით იკვეთება, რომ უნივერსიტეტში ამ ეტაპზე გადინება არ არის საფრთხე, ხოლო პერსონალის მოზიდვა ხდება ფინანსური წახალისების მექანიზმებით, ინფრასტრუქტურის განვითარებით, ხოლო სამოქმედო გეგმით კი პერსონალის მოზიდვის ამოცანის შესაბამისი აქტივობები დეტალურად არ არის გაწერილი და რიგ შემთხვევაში ინდიკატორებიც.

**რეკომენდაცია 2: სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი უნდა ჩატარდეს უფრო ხშირად (კვარტალურად) აკადემიური საბჭოს მონაწილეობით.**

დაწესებულება ბოლომდე არ იზიარებს გაცემულ რეკომენდაციას სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის კვარტალურად ჩატარების ნაწილში, თუმცა ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხშირად ჩატარების ნაწილში რეკომენდაციას იზიარებენ. უფრო კონკრეტულად, კი ინტერვიუს დროს დაწესებულების მიერ გამოთქმულ იქნა პოზიცია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგს ჩატარებდნენ წელიწადში ერთხელ, ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგს - ყოველ სემესტრულად. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა სამოქმედო გეგმის შესრულების სემესტრული ანგარიში, რომელიც წესით გაზაფხულის სემესტრის დასასრულს უნდა შემუშავებულიყო, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 2021 წლის 15 მარტს აკადემიურ საბჭოზე განხილული 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის ჯგუფის შეფასება. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულების მიერ დადგენილი ვადით ჯერ სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი ვერ განხორციელდებოდა და შესაბამისად, ექსპერტთა მიერ ამ პროცესის შეფასებაც შეუძლებელია.

**რეკომენდაცია 3: უნდა მოხდეს სამოქმედო გეგმის განხილვის პროცესის გამრავალფეროვნება მასში შიდა დაინტერესებული მხარეების ჩართვით და თვისებრივი მიდგომის დამატებით.**

უნივერსიტეტში შექმნილია სტრატეგიული განვითარების სამუშაო ჯგუფი, რომელიც მისიის შესაბამისად შეიმუშავებს სტრატეგიული და სამოქმედო განვითარების გეგმებს. სამუშაო ჯგუფი შედგება რექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტისგან. ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ სამუშაო ჯგუფის ყველა ეს წევრი აქტიურად არის ჩართული გეგმების შემუშავების პროცესში. ხოლო რაც შეეხება გეგმების შესრულების მონიტორინგის სამუშაო ჯგუფს, მის შემადგენლობაში შედიან უნივერსიტეტის რექტორი, სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი, ორი დამსაქმებელი და კურსდამთავრებული. ცვლილება განხორციელდა იმ ნაწილში, რომ „სხვა სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელის” ნაცვლად განისაზღვრა კურსდამთავრებულის სამუშაო ჯგუფში ჩართულობა, რითაც გათვალისწინებულ იქნა 2021 წელს ავტორიზაციის მიზნით განხორციელებული ექსპერტთა შეფასება. ამასთანავე, ინტერვიუსა და აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმიდან (03, 15.03.2021) დგინდება, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შედეგები განიხილება აკადემიურ საბჭოზე, რომლის შემადგენლობაში ყველა საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლის შემთხვევაში ვერ იქნა ვერცერთი კონკრეტული შემთხვევა დასახელებული მისი მხრიდან სამოქმედო გეგმის ნაწილში განხილვის პროცესში რაიმე ინიციატივის წარდგენისა.

**რეკომენდაცია 4: უნდა მოხდეს სამოქმედო გეგმის გადახედვა ისე, რომ იგი მოიცავდეს გარკვეულ ქმედებებს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, კონკრეტულ პირებზე პროექტის მენეჯმენტის პასუხისმგებლობის გადანაწილებით.**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია თითოეული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები. ინტერვიუს დროს, ძირითად შემთხვევაში, გამოვლინდა, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები კარგად იცნობენ გეგმას და მათი პასუხისმგებლობის სფეროებს, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებისა და პასუხისმგებლობების განაწილების ნაწილი ვიზუალურად არ აღიქმება და ბუნდოვანია ზოგჯერ რომელი აქტივობა რომელმა სტრუქტურამ თუ პირმა უნდა შეასრულოს. მაგალითად, ამოცანის „სტუდენტთა კონსულტირების სრულყოფა (კარიერული მხარდაჭერა, დასაქმება, კვლევებში ჩართულობა და ა.შ.)” გასწვრივ დაჯგუფებულია არაერთი ფუნქციურად სხვადასხვა აქტივობა (პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრა, საჯარო ლექცია - კვლევების პოპულარიზაცია, საუნივერსიტეტო კონფერენციებში მონაწილეობა, კურსდამთავრებულთა ბაზის შექმნა და ა.შ.), რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებელი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული თუ პირია, მაგრამ კონკრეტულად რომელ აქტივობაზე ვინ არის პასუხისმგებელი, ვიზუალურად არ აღიქმება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ინტერვიუს შედეგითაც დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეული, რომელიც აღნიშნული ამოცანის შესრულებაზე



პასუხისმგებელ პირად იყო მითითებული სამოქმედო გეგმაში, არ იცნობდა სტუდენტთა კონსულტირების სრულყოფის მიმართულებით გეგმას. ბუნდოვანია თავად აქტივობაც - კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობა - როგორ უკავშირდება სტუდენტთა კონსულტირების სისტემის სრულყოფას.

**რეკომენდაცია 5: უნდა განახლდეს გათვალისწინებული შემთხვევების გეგმა სტრატეგიული მიზნების რისკებისა და საფრთხეების მართვის მიზნით.**

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა, რომელშიც ბოლოს ცვლილება განხორციელდა 2020 წლის 25 მაისს. შესაბამისად, ავტორიზაციის ვიზიტის შემდგომ მასში ცვლილებები არ შესულა. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების ნაწილში დაწესებულების ანგარიშიდან ვკითხულობთ, რომ გეგმა მოიცავს „უნივერსიტეტის უწყვეტ რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფის მექანიზმებს მოულოდნელი ან გადაუდებელი გარემოებების შემთხვევაში, ასევე რისკების შეფასებას და მათ პრევენციას, გამოსწორების ვადების დადგენას, ქმედებებს სიტუაციიდან გამომდინარე და პასუხისმგებელი პირების არსებობას“. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა დასკვნაში მოხსენებული რისკებიდან გეგმაში იდენტიფიცირებულია სტუდენტთა რაოდენობის შემცირების ნაწილი, თუმცა საგანგებო სიტუაციების დაგეგმვისას არ მოხდა გათვალისწინება „უცხოელი სტუდენტების ქვეყანაში არსებული პოლიტიკა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ჩარიცხვაზე, კურსის დასრულებაზე“, მოადგილეების დანიშვნა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე და სხვა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უსდ-ს მისია
- სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმა
- სამოქმედო განვითარების 3-წლიანი გეგმა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური საბჭოს სხოდმის ოქმი 03 (15.03.2021)
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

**რეკომენდაციები:**

- SWOT ანალიზის შედეგისას გამოიყენეთ გარე შეფასების შედეგებიც და სამოქმედო განვითარების გეგმაში კიდევ უფრო ნათლად წარმოადგინეთ უნივერსიტეტის ყველა სტრატეგიულ მიზანის მისაღწევად შესაბამისი ამოცანა/აქტივობა;
- განახორციელეთ სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების მონიტორინგი თქვენ მიერ განსაზღვრული/დადგენილი ინტენსიობით
- განახლეთ ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა სტრატეგიული მიზნების რისკებისა და საფრთხეების სრულყოფილად მართვის მიზნით

**რჩევები:**

- სამოქმედო გეგმაში გახადეთ ვიზუალურად უფრო აღქმადი გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულებაზე რომელი პირები/სტრუქტურული ერთეულები არიან პასუხისმგებელნი.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

<p><b>2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.</li> <li>○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.</li> <li>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.</li> <li>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p><b>რეკომენდაცია 1: პრო-რექტორები და ფაკულტეტის დეკანები სრული გრაფიკით უნდა ჩაერთონ უნივერსიტეტის საქმიანობაში და ჰქონდეთ უფლებამოსილება მენეჯმენტის ფუნქციების შესასრულებლად.</b></p> <p>ინტერვიუს შედეგებითა და დატვირთვების სქემით დადასტურდა, რომ რექტორის მოადგილეები სრული გრაფიკით არიან ჩართულნი უნივერსიტეტის საქმიანობაში. ინტერვიუმ აჩვენა, რომ ისინი სრულად არიან ჩართულნი როგორც უნივერსიტეტის მართვის, სტრატეგიული დაგეგმარების, ასევე საკუთარი საქმიანობის შესრულების ნაწილში, თუმცა აღსანიშნავია, სამუშაო აღწერილობით რიგ შემთხვევაში გაწერილ იქნა ისეთი ფუნქცია-მოვალეობები, რომლებიც რეალურად აღნიშნული მაღალი რგოლის მენეჯერისთვის შეუსაბამო იყო და ინტერვიუს შედეგებითაც ცხადი გახდა, რომ რეალურად ისინი ასრულებდნენ პროცესის მონიტორინგს და არა ვთქვათ უშუალოდ დაგეგმვას (მაგალითად, დიპლომების აღრიცხვის ნაცვლად, მისი აღრიცხვის მონიტორინგს).</p> <p><b>რეკომენდაცია 2: ფაკულტეტის დეკანები და პროგრამის ხელმძღვანელები უნდა იყვნენ აფილირებული პერსონალი, რათა უზრუნველყონ მაღალი დონის ვალდებულება ჩართულობა, ასევე უწყვეტობა სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.</b></p> <p>შესწავლილი დოკუმენტაციით და ინტერვიუებით დასტურდება რომ ფაკულტეტის დეკანები და პროგრამის ხელმძღვანელები არიან გეომედის აფილირებული პერსონალი.</p> <p><b>რეკომენდაცია 3: პრორექტორები, ფაკულტეტის დეკანები და პროგრამის ხელმძღვანელები დასაქმებული უნდა იყვნენ მხოლოდ ამ უნივერსიტეტში.</b></p> <p>ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ფაკულტეტის დეკანები, პროგრამის ხელმძღვანელები და რექტორის მოადგილეები აფილირებულნი არიან გეომედის უნივერსიტეტში და ძირითად საქმიანობასაც ეწევიან აღნიშნულ დაწესებულებაში.</p> <p><b>რეკომენდაცია 4: სუბორდინაციის მისაღწევად უნდა მოხდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის იერარქიული სტრუქტურის გადასინჯვა. თითოეული სტრუქტურული ერთეული ანგარიშვალდებულია ერთ-ერთ პრორექტორთან და არა უშუალოდ რექტორთან და, რა თქმა უნდა, არც აკადემიურ საბჭოსთან, რომელიც კოლეგიური ორგანოა.</b></p> <p>2021 წელს განხორციელებული ავტორიზაციის დროს გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, უსდ-ს მიერ გადახედილ იქნა ორგანიზაციული სტრუქტურა და უფრო კონკრეტულად კი დაქვემდებარებების ნაწილში. კერძოდ, რეკომენდაცია შეეხებოდა იმას, რომ კონკრეტული სტრუქტურული ერთეულები უშუალოდ ანგარიშვალდებულნი იყვნენ რექტორის წინაშე მათ შორის საგამოცდო ცენტრი, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობები და ა.შ. განახლებული სტრუქტურის მიხედვით, მაგალითად, რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში დაქვემდებარდნენ ფაკულტეტები, სტუდენტთა</p>

სერვის ცენტრი, დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახური, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური, საგამოცდო ცენტრი, ხოლო რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში დაქვემდებარა ბიბლიოთეკა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. მართალია, დაქვემდებარებების ნაწილში ცვლილებები განხორციელდა, თუმცა ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სამსახურის უფროსის მოადგილის მიერ დასახელდა იმ რექტორის მოადგილის მიმართ დაქვემდებარება, რომელსაც ის რეალურად არ ექვემდებარებოდა განახლებული სტრუქტურის მიხედვით. მაგალითად, სამეცნიერო დარგში ვიცე-რექტორის სამუშაო აღწერილობითაც ზოგადად განისაზღვრა, რომ მისი ფუნქციაა საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის საქმიანობის მონიტორინგი, ხოლო ინტერვიუს დროს როდესაც ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა მისი ამ მიმართულებით საქმიანობაზე, კონკრეტული აქტივობების დასახელება ვერ მოხდა.

**რეკომენდაცია 5: უნდა გადაიხედოს სტრუქტურული ერთეულებისთვის მინიჭებული ფუნქციები, რათა აღმოიფხვრას გაურკვეველობა და ფუნქციების გადაფარვა.**

2021 წელს ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია ფუნქციების გადაფარვის ნაწილში შეეხებოდა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ფუნქციებისა და სიცოცხლის ბოლომდე სწავლების სამსახურის, რომელსაც ახლა დახელოვნებისა და რეზიდენტურის სამსახური ჰქვია, ფუნქციების გადაფარვას პერსონალისთვის პროფესიული განვითარების კურსების დაგეგმა-ორგანიზების ნაწილში, რაც გეომედის მიერ აღმოფხვრილ იქნა მონიტორინგის ვიზიტის დროისთვის. ამასთანავე, წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა, ზოგიერთ შემთხვევაში, დააფიქსირა, რომ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები არ იყო ნათელი, რაც შეიძლება ითქვას, რომ ისევ აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ გაწერილ იქნა თანამდებობრივი ინსტრუქციები და მოხდა ამ სამუშაო აღწერილობების თანამშრომლებისთვის გაცნობა, მაინც აღნიშნული აღწერილობები არის ძალიან ზოგადი ხასიათის, ფაქტობრივად იგივე, რაც გაწერილია სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით და საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც ძალიან ზოგადია (მაგალითად, უმრავლეს პოზიციაზე ვხვდებით რომ საჭიროა ენების ცოდნა, ან უცხო ენის ცოდნა, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული რომელი უცხო ენის ან რა დონეზე ცოდნაა საჭირო). ამასთანავე, სტუდენტთა სერვის ცენტრის თანამშრომელთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ მისი ფუნქცია სტუდენტებისთვის არა კონკრეტული სერვისების მიწოდება (მაგალითად, როგორც მისი ფუნქციებითაა განსაზღვრული, თავად მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია სასწავლო პროცესის, სამეცნიერო კონფერენციების, გაცვლით პროგრამების თუ სხვადასხვა სტუდენტური აქტივობების შესახებ), არამედ კონკრეტულ სამსახურთან გადამისამართება შესაბამისი ინფორმაციის მიღების მიზნით ან საჭიროებისამებრ, მომზადებული დოკუმენტების მიწოდება. ასევე, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციებში ასევე შედის „კურსდამთავრებლებთან ურთიერთობაც“, რაც ამ სამსახურის სახელწოდებიდან გამომდინარე დამაბნეველია მომხმარებლისთვის.

**რეკომენდაცია 6: უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კრიტიკული ოპერაციების უწყვეტობა მოადგილეების მეშვეობით და საერთო პრაქტიკის დანერგვა.**

2021 წელს ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემულ იქნა რეკომენდაცია ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მოადგილეების დანიშვნის/ მათი პოზიციის გათვალისწინების თაობაზე, ვინაიდან ძირითადად შემთხვევაში თითოეულ სამსახურში დასაქმებული იყო 1 ან 2 თანამშრომელი და ამასთანავე, დაფიქსირდა გაცდენის თუ არასრული დატვირთვის შემთხვევები. მართალია, დაწესებულების ანგარიშში წარმოდგენილ იქნა პოზიცია, რომ ადმინისტრაციული თანამდებობის პირის არყოფნის შემთხვევაში ინიშნება დროებითი მოვალეობის შემსრულებელი, მაგრამ ბიზნეს უწყვეტობის და საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მით უმეტეს კონტინგენტის გაზრდის პირობებში, მნიშვნელოვანია აღნიშნული, მოადგილის პოზიციების გათვალისწინება.

**რეკომენდაცია 7: დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ERASMUS+ გაცვლით პროგრამების (ან სხვა გაცვლითი საერთაშორისო პროგრამების) განხორციელება სტუდენტებისა და პერსონალისთვის.**

დაწესებულებამ გამოაცხადა კონკურსი სტუდენტებისთვის ERASMUS+ გაცვლით პროგრამაში ჩასართავად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უკვე დასრულდა კონკურსი და 2 სტუდენტი ისარგებლებს გაცვლითი პროგრამით. აღსანიშნია, რომ პირველ ეტაპზე სტუდენტთა ჩართულობა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად არც ისე მაღალი იყო, რა მიმართულებითაც უსდ გეგმავს რიგი აქტივობების

განხორციელებას და ასევე, აპირებს გაცვლითი პროგრამის შეთავაზებას პერსონალისთვის. ამ ეტაპისთვის, გეომედი ზრუნავს გაადლიეროს პარტნიორობა სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და ბოლო 6 თვის განმავლობაში უკვე გაფორმდა მემორანდუმი 5 საერთაშორისო უნივერსიტეტთან. ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური განმარტებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები სტუდენტებისთვის საზღვარგარეთ კლინიკებში ტრენინგების ჩატარებისთვის.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
- ორგანიზაციული სტრუქტურა
  - უნივერსიტეტის დებულება
  - ვებგვერდი
  - თვითშეფასების ანგარიში
  - სამუშაო აღწერილობები
  - პერსონალის დატვირთვის სქემა

- რეკომენდაციები:**
- უზრუნველყავით მონიტორინგი და საჭიროებისამებრ, თანამშრომელთა გადამზადება, რომ ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელოს ის ფუნქცია-მოვალეობები, რაც მათ განესაზღვრათ განახლებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით/დებულებით.
  - გახადეთ თანამდებობრივი ინსტრუქციები უფრო დეტალური/კონკრეტული როგორც ფუნქცია-მოვალეობების გაწერის ნაწილში, ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილში
  - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კრიტიკული ოპერაციების უწყვეტობა მოადგილეების მეშვეობით და საერთო პრაქტიკის დანერგვა
  - გაზარდეთ გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობა და განახორციელეთ გაცვლით პროგრამები პერსონალისთვის

- რჩევები:**
- უნივერსიტეტში ორგანიზაციულ სტრუქტურის დონეზე განხორციელებულ ცვლილებებთან, კერძოდ თანამდებობრივი დაქვემდებარებებისა და ახალი ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებით მოახდინეთ თანამშრომლების საფუძვლიანი ინფორმირება.
  - გადახედეთ სტრუქტურული ერთეულების დასახელებებს მართი ფუნქციებიდან გამომდინარე;

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები**

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**რეკომენდაცია 1: გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების რაოდენობა.**

2021 წელს განხორციელებული ავტორიზაციის შემდგომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაემატა 1 სპეციალისტი. დაწესებულების წარმომადგენელის მიერ ინტერვიუს დროს განიმარტა, რომ ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურში პროცესები არის ავტომატიზებული და ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით ხდება ბევრი პროცესის განხორციელება, შესაბამისად, ამ ეტაპზე 1 თანამშრომელზე მეტის დამატების საჭიროება არ იქნა მათ მიერ იდენტიფიცირებული, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის ერთი თანამშრომელიც IT მიმართულებითაა.

**რეკომენდაცია 2: უნდა მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება საგანმანათლებლო ერთეულებში.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის ანალიზიდან გამომდინარე, ჩანს რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ასევე სწავლების ხარისხის შიდა და გარე მექანიზმები. ფაკულტეტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუებით ჩანს, რომ ფაკულტეტები ჩართულნი არიან როგორც გამოკითხვების წარმოებასა თუ რეკომენდაციების შემუშავებაში, ასევე აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანალიზში, თუმცა ფაკულტეტების დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის განვითარება ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესია.

**რეკომენდაცია 3: უნდა მოხდეს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულებაში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.**

სტრუქტურული ერთეულების მიერ ადგენენ შესრულებული სამუშაოს ანგარიშები, რომლებიც განიხილება აკადემიურ საბჭოზეც, ამასთანავე განხორციელებული გამოკითხვებისა თუ ანგარიშების ანალიზების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად ახდენენ შემდგომ რეაგირებას. ამასთანავე, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შედეგების განხილვა ხდება აკადემიურ საბჭოზე, რომლის წევრებიც არიან სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირები. მაგალითად, დახელოვნებისა და რეზიდენტურის სამსახურთან ინტერვიუს დროს გამოვლიდა, რომ მათ მიერ განხორციელებული ტრენინგების შემდგომ უკუკავშირის მიღებას არ აქვს ფორმალიზებული მხარე და ტრენინგის მონაწილესგან მათი საქმიანობით/განხორციელებული ტრენინგებით კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის მიღება არ ხდება სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით და საკუთარი ინიციატივით ახდენს უკუკავშირის ზოგიერთი მსმენელი (სატელეფონო კომუნიკაციით თუ იდეის ელ-ფოსტით გაცვლა). შესაბამისად, სტრუქტურული ერთეულების დონეზე მნიშვნელოვანია PDCA ციკლი გამოიყენებოდეს არა მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, არამედ ყველა სტრუქტურული ერთეულების მიერ, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხარისხის კულტურის დამკვიდრებას დაწესებულებაში.

**რეკომენდაცია 4: უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გარე დაინტერესებული მხარეების სისტემატური და ეფექტური მონაწილეობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში, სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და მათი გაუმჯობესების ჩათვლით, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ფორმალური პროცედურის ჩამოყალიბებით.**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს დაინტერესებული მხარეების სისტემატურ გამოკითხვას და სტუდენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ისინი ავსებენ კითხვარებს (ვიზიტის დროსაც მიმდინარებოდა გამოკითხვა, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, სტუდენტთა და პედაგოგთა გამოკითხვა წარმოებს სემესტრში ორჯერ, კერძოდ შუალედური გამოცდების პერიოდში და სემესტრის დასასრულს, რათა დროულად იქნეს იდენტიფიცირებული გამოწვევები და მოჰყვეს მას დროული რეაგირება). თუმცა ასევე სტუდენტებთან და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგებით გამოვლიდა, რომ მაგალითად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობა არ იცნობდა სტუდენტის მიერ მათი შეფასების შედეგებს და ვინც იცნობდა, ისიც იმიტომ რომ თავად ახდენდა კომუნიკაციას ფაკულტეტთან, რომლისგანაც იღებდა ინფორმაციას დადებითად შეფასდა თუ არა სტუდენტების მიერ მისი საქმიანობა, ზოგიერთი ლექტორი კი თავად იღებდა უკუკავშირებს სტუდენტებისგან. მართალია, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის აკადემიურ საბჭოში და შესაბამისად, საბჭოში გამოკითხვის შედეგებიც, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი ჰქონდეთ დანარჩენ სტუდენტებს, კურსდამთავრებულსა თუ პერსონალს. ამასთანავე, როგორც გამოკითხვამ აჩვენა, არ ხდება ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება ინდივიდუალურად, არამედ ფასდება მხოლოდ სამსახურის საქმიანობა.

**რეკომენდაცია 5: გარე შეფასების შედეგები უფრო ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული სწავლა-სწავლების კვლევისა და სხვა სერვისების გასაუმჯობესებლად.**

სასწავლო უნივერსიტეტ გომედის მირ ხდება გარე შეფასების შედეგების გამოყენება, რაც დასტურდება წარმოდგენილი ანგარიშებით, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმაში თუ სხვა დოკუმენტებში ასახული ცვლილებებით და ინტერვიუებით, ასევე ორიენტირებულია გარე შეფასების შედეგების კიდევ უფრო მეტად ეფექტიანად გამოყენებით.

**რეკომენდაცია 6: სტუდენტთა კონტინგენტი უნდა დაიგეგმოს დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსების, შესაბამისი ინდიკატორებისა და ნიშნულების შესაბამისად.**

უსდ-ს შემუშავებული აქვს „სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო და ადმინისტრაციული) კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია“, რომელიც 2021 წლის 27 სექტემბერს დამტკიცდა განახლებული სახით აკადემიური საბჭოს სხდომაზე და რომელშიც სტუდენტთა დაგეგმვისას გათვალისწინებულია ადამიანური, მატერიალური რესურსების ფაქტორები და განსაზღვრულია შესაბამისი ნიშნულები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- სწავლების ხარისხის შიდა და გარე მექანიზმები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში
- სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო და ადმინისტრაციული) კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია

**რეკომენდაციები:**

- გააუმჯობესეთ ხარისხის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო ერთეულების დონეზე
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გარე დაინტერესებული მხარეების სისტემატური და ეფექტური მონაწილეობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში, უკუკავშირის გაცემისა და ფორმალური პროცედურების ჩამოყალიბების ჩათვლით.

**რჩევები:**

-

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა**

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგული აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**რეკომენდაცია 6: უნივერსიტეტის მმართველობამ უნდა განიხილოს პლაგიატის აღმოჩენის საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა და პლაგიატზე შეამოწმოს სტუდენტების ყველა წერიითი ნაშრომი.**

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებით დგინდება, რომ უსდ იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამას და საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმის მომსახურებით ანტიპლაგიატის სისტემაში მოწმდება უნივერსიტეტის ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ნაშრომები, ხოლო რაც შეეხება წერით ნაშრომებს, დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის მიერ განმარტებულ იქნა, რომ ძირითადად სტუდენტთა მიერ სრულდება პრაქტიკული დავალებები, რომლებიც არ საჭიროებს ანტიპლაგიატის პროგრამას და რეგულირდება ეს საკითხები თავად პედაგოგების მიერ. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუმ კი დაადასტურა, რომ მათ მიერ ხდება ესეს ტიპის და ა.შ. დავალებების სტუდენტებისთვის მიცემა, რომლის ანტიპლაგიატის პროგრამაში შემოწმებასაც მიესალმებიან.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
- თვითშეფასების ანგარიში
  - ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- უნივერსიტეტის მმართველობამ უნდა განიხილოს პლაგიატის აღმოჩენის საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, მისი LMS სისტემაში ინტეგრირება და პლაგიატზე შეამოწმოს სტუდენტების ყველა წერიითი ნაშრომი.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

- შეფასება:**
- მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3. საგანმანათლებლო პროგრამები**

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება**

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**რეკომენდაცია 1. უნდა მოხდეს ცხრილების დროული უზრუნველყოფა საგანმანათლებლო სემესტრის დაწყებამდე და ისინი უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და პედაგოგისთვის ყველა ობიექტის მიხედვით (კლინიკური და ძირითადი საგნებისათვის).**

მონიტორინგის ანგარიშში უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ ცხრილები ატვირთულია ელექტრონული მართვის სისტემაში და უჩანს პირად გვერდზე როგორც სტუდენტს, ისე ლექტორს. ინტერვიუების და ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებს და ლექტორებს ეთხოვათ ელექტრონულ სისტემაში მიმდინარე სემესტრის ცხრილების ჩვენება, რის შედეგადაც იქნა ნანახი, რომ უნივერსიტეტს ელექტრონულ სისტემაში

ნამდვილად აქვს ჩამენებული სასწავლო ცხრილის ფუნქციონალი, თუმცა ამ ეტაპზე ცხრილები არ უჩანდათ დაინტერესებულ მხარეებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილები გამოკრულია უნივერსიტეტში და პრაქტიკის ობიექტებზე. თუმცა ონლაინ სწავლების ფორმატის გამო, სტუდენტების გარკვეული ნაწილი ფიზიკურად არ ხვდება უნივერსიტეტში, მედიცინის პროგრამის სტუდენტების ნაწილი კი საერთოდ არ იმყოფება საქართველოში. უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით ამ ეტაპზე მიმდინარეობს ელექტრონული სისტემის გამართვა და ცხრილები აიტვირთება პორტალზე.

გასაუბრებისას სტუდენტებმაც და ლექტორებმაც აღნიშნეს, რომ ცხრილს იღებენ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ზოგიერთი კლინიკური კურსის პრაქტიკულების ცხრილი სემესტრის დაწყებამდე ცნობილი არ არის, ამ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ როტაციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე (ლექტორები სტუდენტებს უთანხმებენ თავისუფალ დროს, მაგალითად ვიზიტის დროს მიმდინარე ნეიროქირურგიის როტაციის პრაქტიკულების ცხრილი ჯერ უცნობი იყო სტუდენტებისთვის).

შესაბამისად ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.

***რეკომენდაცია 2. ცხრილები უნდა შეიცავდეს ყველა შესაბამის ინფორმაციას, მათ შორის სტუდენტების ჯგუფის, ადგილის, დროის და პედაგოგის (პედაგოგების) შესახებ.***

უნივერსიტეტში გამოკრული ცხრილები შეიცავს ინფორმაციას სტუდენტების ჯგუფების, ადგილის, დროის და პედაგოგის შესახებ, თუმცა იგივე ინფორმაცია ვერ იქნა ნანახი ელექტრონულ პორტალზე და უნივერსიტეტის წარმომადგენლების განცხადებით მიმდინარეობს ამ ინფორმაციის ატვირთვის პროცესი. ამ ეტაპზე კი კონკრეტული კურსის ცხრილი მიეწოდება სტუდენტს და ლექტორს ელექტრონული ფოსტის საშუალებით. აღნიშნული ინფორმაცია გაზიარებული იქნა სტუდენტების და პრაქტიკის ობიექტზე ლექტორის მიერ. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთო კლინიკური კურსის პრაქტიკულების ცხრილი ჯერ აციან. ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.

***რეკომენდაცია 3. ყველა პროგრამის, განსაკუთრებით კი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამების განხორციელების წესები უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული და ხელმისაწვდომი.***

უნივერსიტეტის განმარტებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მართვა და მონიტორინგი. კლინიკური როტაციების რეგულირების მიზნით, დოკუმენტს დაემატა მე-15 მუხლი. უნივერსიტეტის მიერ გაწერილია ჰიბრიდულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებული რეგულაციები. აქედან გამომდინარე, ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.

***რეკომენდაცია 4. კლინიკებთან კონტრაქტის დადებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ მექანიზმებს, რომლებიც კლინიკური სწავლების გარანტიაა.***

რეკომენდაციის თანახმად, კლინიკებთან კონტრაქტებში მოთხოვნილი იყო გარკვეული გარანტია, რაც ნიშნავს რომ ხელშეკრულებებში მითითებული უნდა ყოფილიყო სასწავლო კურსის დასახელება, სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რის გატარებასაც შეძლებს კლინიკა. სწორედ ამ კონტრაქტებში ასახული ინფორმაციის და მონაცემების საფუძველზე უნდა მოხდეს სასწავლო პროცესის მართვა (სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა, ცხრილის შემუშავება და ა.შ). უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, გამოირკვა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს აფილირებულ დაწესებულებებთან კონტრაქტების განახლებაზე მოლაპარაკება და უმოკლეს დროში იქნება წარმოდგენილი. შესაბამისად აღნიშნულ ეტაპზე რეკომენდაცია შესრულებული არ არის.

***რეკომენდაცია 5. ადგილობრივი შრომითი ბაზრის განახლებული კვლევა უნდა ჩატარდეს სტუდენტთა არსებულ კონტიგენტთან და მის სამომავლო ზრდასთან მიმართებით.***

უნივერსიტეტის განცხადებით, ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა უკვე ჩატარდა 2019 წელს და ექსპერტების და საბჭოს რეკომენდაცია ახალი კვლევის ჩატარების შესახებ არ იქნა გაზიარებული უსდ-ს მიერ.

ჩვენ მიერ გადაიხედა აღნიშნული შრომის ბაზრის კვლევა და დავეთანხმებით წინა ექსპერტებს, რომ აღნიშნულ დოკუმენტში თავმოყრილია სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია და მონაცემები, თუმცა არ ჩანს ის ინფორმაცია და ანალიზი, რაც განაპირობებს კავშირს შრომითი ბაზრის კვლევას, სტუდენტთა



კონტიგენტის დაგეგმვას/სტუდენტების მიღებას და კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების დაპროექტება/შემუშავებას შორის. ამ მიზნით უსდ-ს ეთხოვა დამატებით წარმოედგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც ასახავდა ამ დოკუმენტში ასახული ინფორმაციის, კავშირს და კორელაციას კონტიგენტის დაგეგმვასთან, პროგრამების დაგეგმვასა და ზოგადად სასწავლო პროცესთან მიმართებაში. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N14 (20.11.2020), სადაც განხილულია 2020-2021 სასწავლო წელს მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე შრომის ბაზრის ანალიზის და სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული) კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის საფუძველზე სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვის შესახებ დეკანის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ 2020 – 2021 სასწავლო წლისთვის ქართულენოვან პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი განისაზღვრა 45 ადგილით, უცხოენოვან პროგრამაზე კი განისაზღვრა 100 ადგილი. აღნიშნული ინფორმაცია წინამორბედ ექსპერტთა ჯგუფის და აკადემიურისა საბჭოს მიერ არ ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად. ამ ეტაპზე ასევე ჯერ არ არის წარმოდგენილი, კონტიგენტის დაგეგმვის დროს, კლინიკური პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტების განაწილების პრინციპი, მათზე მიმაგრებული პერსონალი, ვინაიდან ჯერ არ არის განხორციელებული ხელშეკრულებების განახლების პროცესი. სასურველი იყო, ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე უნივერსიტეტს განეხორციელებინა კვლევა და მონაცემთა ანალიზი ყველა პროგრამის მიხედვით, ვინაიდან როგორც უნივერსიტეტი აღნიშნავს, ბაზრის კვლევა ჩატარებულია, საჭიროა ინფორმაციის ანალიზი და მისი დაკავშირება მისაღები კონტინგენტის დაგეგმვის პროცესთან (ინფრასტრუქტურა, კონტრაქტორი კლინიკები, პერსონალი და ა..)

**რეკომენდაცია 6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამების ხელმძღვანელებმა და დეკანებმა უნდა უზრუნველყონ სწავლების შესაბამისობა გეომედის შიდა რეგულაციასთან.**

უნივერსიტეტის განმარტებით, სასწავლო პროცესი ექვემდებარება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობს შიდა რეგულაციების დაცვით, თუმცა რიგი საკითხების (ელექტრონული პორტალი, კლინიკურ ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობა, კონტიგენტის დაგეგმვა და ა.შ) მოგვარება და იმპლემენტირება ამ ეტაპზე პროცესშია და არ არის დასრულებული. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებულია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები
- ელექტრონული პორტალი
- სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული) კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- შრომის ბაზრის კვლევა
- მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N14 (20.11.2020)
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ხელშეკრულებები კლინიკებთან
- სასწავლო პროცესის ცხრილები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია, კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად და მასში გაწერილი ყველა კრიტერიუმის ანალიზის საფუძველზე სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის და სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სადაც მოიაზრება გარდა ბაზრის ზოგადი კვლევისა, ასევე კლინიკური პრაქტიკის ობიექტებთან კონტრაქტების განახლება (სასწავლო კურსების და სტუდენტების

რაოდენობის, ასევე სასწავლო ოთახების/სივრცეების გამოყოფით, ლექტორის/ადგილობრივ სუპერვაიზერის მითითებით).

- რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მართვის და ცხრილის შემუშავების პრინციპების გადახედვა, რათა მოხდეს ცხრილის გაზიარება სემესტრის დაწყებამდე სტუდენტებისთვის და ლექტორებისთვის, განსაკუთრებით კლინიკური კურსების პრაქტიკული მეცადინეობების.

**რჩევები:**

-

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- o პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- o ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*რეკომენდაცია 1. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ნათლად განსაზღვრული აკადემიური კალენდარი, რომელიც საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, თუ აუცილებელია, შესწორებებით. თუმცა ყველა ეს დოკუმენტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ორივე ენაზე მთელი დადგენილი დროის განმავლობაში.*

რეკომენდაციის თანახმად, აკადემიური კალენდარი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. ამასთანავე, აკადემიური კალენდარი მოიცავს ინფორმაციას სააუდიტორიო მეცადინეობების, სასესიო პერიოდებისა და დასვენების დღეების შესახებ ინფორმაციას, პროგრამების შესაბამისად. ამდენად, აკადემიური კალენდარი ინფორმაციულია დაინტერესებული პირისთვის.

*რეკომენდაცია 2. გეომედის ვებ-საიტზე უნდა არსებობდეს ცალკე განყოფილება ჩაბარების შესახებ, რომელშიც მოცემული იქნება კონკრეტულ პროგრამებზე დაშვების ინფორმაცია, მათ შორის პირობები, თარიღები და ა.შ.*

რეკომენდაციის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამები და მათზე დაშვების წინაპირობები განთავსებულია ვებ-გვერდზე, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაცია შეეხებოდა ვებსაიტზე მიღების შესახებ ცალკე განყოფილების არსებობას, სადაც დაინტერესებული მხარისთვის დეტალურად იქნებოდა ინფორმაცია მიღების არა მხოლოდ წინაპირობების, არამედ ვადების და სხვა პირობების შესახებ. ცალკე განყოფილების არსებობა, ვიზუალურად უფრო მეტად აღქმადი და ინფორმაციული იქნებოდა დაინტერესებული მხარეებისთვის.

*რეკომენდაცია 3. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პროგრამის სტრუქტურაზე წვდომა, ყოველ შემთხვევაში გეომედის სტუდენტებისა და პერსონალისთვის მანერ.*

სტუდენტებისა და პერსონალისთვის პროგრამის სტრუქტურა, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე, ხელმისაწვდომია პაროლის მეშვეობით, სხვა დაინტერესებულ პირებისთვის წვდომა შეზღუდულია.

სტუდენტებს აქვთ წვდომა პროგრამასა და სილაბუსებზე, რომელიც ასევე განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პლატფორმაზე.

**რეკომენდაცია 4. უნდა ტარდებოდეს გადმოყვანილ სტუდენტთა ჩართულობის მუდმივი სიდრმისეული ანალიზი მათი აკადემიური მზაობის დასადასტურებლად და შემდგომი რეალური საჭიროებების დასადგენად, აგრეთვე - სტუდენტების სხვა სასწავლო დაწესებულებებში გადასვლის მიზეზები.**

უნივერსიტეტში აქტიურად მიმდინარეობს შიდა მობილობის პროცესი საბაკალავრო პროგრამებიდან ერთსაფეხურიან მედიცინის პროგრამაზე. სწავლის შედეგების აღიარების დროს მხედველობაში მიიღება იმ კურსების კრედიტების რაოდენობა, რომელიც დამლეულია სტუდენტის მიერ. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შიდა მობილობით გადასული სტუდენტების აკადემიური მოსწრება არ არის სახარბიელო, უმეტეს შემთხვევაში სწავლის შედეგზე გასვლა უჭირთ ან საერთოდ ვერ გადიან. ამიტომ მიზანშეწონილია, დაწესებულებამ მეტი ყურადღება მიაქციოს მობილობის პროცესს და დააწესოს კრიტერიუმები (მაგ. GPA, შიდა დამატებითი გამოცდა და ა.შ.) ერთსაფეხურიან მედიცინის პროგრამაზე მობილობის მსურველ სტუდენტებისთვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამიდან გადასვლა ხდება სტუდენტების მიერ იმ მიზეზით, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მიერ არაერთგზის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებისა და ღია კარის ორგანიზებისა „მათ ეგონათ, რომ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ ექიმები გამოვიდოდნენ“. აქედან გამომდინარე, გასაძლიერებელია საინფორმაციო კამპანია აბიტურიენტებისათვის პროგრამების შინაარსის, კვალიფიკაციის და დასაქმების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები
- ელექტრონული პორტალი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს ოქმები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია, გადაიხედოს სტუდენტთა მობილობის საკითხი ერთსაფეხურიან მედიცინის პროგრამაზე და შემუშავდეს კრიტერიუმები, რომელიც მიმართული იქნება უნივერსიტეტში სწავლის მაღალი ხარისხისკენ
- გეომედის ვებ-საიტზე უნდა არსებობდეს ცალკე განყოფილება „მიღების“ შესახებ, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია სხვადასხვა საფეხურზე და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, მიღების ვადების, წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ა.შ. შესახებ.

**რჩევები:**

-

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.3 სწავლის შედეგების შეფასება**

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**რეკომენდაცია 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა არა მხოლოდ უნდა შეაფასოს გამოკითხვები, არამედ მოძებნოს გზები, თუ როგორ უნდა შემოწმდეს სტუდენტების პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების შეფასება.**

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია „მონაცემების შემუშავების ანალიზის მეთოდოლოგია“. ინტერვიუებით გამოიკვია, რომ ჩატარებულია წინა სემესტრის მონაცემების ანალიზი და მიღებულია შესაბამისი ზომები. უსდ-მ წარმოადგინა დოკუმენტები, რომელიც პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების შეფასებას ასახავს. აქვე აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების თანახმად, სწორედ მიმდინარე სემესტრში მოხდა გარკვეული მარეგულირებელი დოკუმენტების, ასევე მონაცემთა შეფასების მეთოდების შემუშავება და დამტკიცება, ამიტომ რიგ შემთხვევებში სიახლეები ჯერ დანერგვის პროცესშია.

აქვე უნდა ითქვას, რომ ინტერვიუს დროს, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ OSCE-ს გამოცდა მათ ჩაუტარდათ ონლაინ, ზეპირი გამოკითხვის სახით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დამატებითი დოკუმენტაციის სახით, გამოთხოვილი იქნა OSCE-ს “check list”-ები. უსდ-მ წარმოადგინა მათი ნიუები, ასევე ვიზიტის დროს ნანახი იქნა OSCE-სთვის საჭირო სადგურები, რომლებიც წარმოდგენილია განმარტებით სამომავლოდ უკეთესად აღიჭურვება და რაოდენობაც დაემატება. აქედან გამომდინარე, დოკუმენტაციის დონეზე უსდ-ს გააზრებული აქვს პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების შეფასების სისტემა, თუმცა პრაქტიკულად ის ჯერ ვერ ხორციელდება.

**რეკომენდაცია 2. რეგულარულად უნდა შეფასდეს ინტეგრირების დონე დიპლომირებული მედიკოსის სასწავლო პროგრამებში.**

უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მუდმივად განიცდის დახვეწას. ამ მიზნით მედიცინის პროგრამაში შეტანილია ცვლილებები, რომლებიც უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით და წარმოდგენილი საბჭოს ოქმის თანახმად, ემსახურება ინტეგრაციის გაძლიერებას. ცვლილებების შედეგად მიღებული შედეგების გაანალიზება მოხდება სემესტრის დასასრულს. თუმცა სწავლის შედეგების შეფასება ამ ეტაპზე ბუნდოვანია გამოყენებული შეფასების მეთოდების გამო, ამიტომ რთული იქნება პროგრამის ეფექტურობის განსაზღვრა,

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი
- აკადემიური საბჭოს ოქმი
- ინტერვიუს შედეგები
- „მონაცემების შემუშავების ანალიზის მეთოდოლოგია“

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია მონიტორინგი გაეწიოს სასწავლო პროცესს, რომ სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს პროგრამასა და სილაბუსებში გაწერილი მეთოდების (მედიცინის პროგრამის შემთხვევაში, ასევე მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად)
- რეკომენდირებულია პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების იმ შედეგების შეფასების ანალიზი განხორციელდეს, რომლებიც რეალურად დანერგილი და გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის დროს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას და ხარისხის უზრუნველყოფას

<p><b>რჩევები:</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.</p>
<p><b>შეფასება:</b></p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**4. უსდ-ის პერსონალი**

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

<p><b>4.1. პერსონალის მართვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.</li> <li>○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p><b>რეკომენდაცია 1: შემუშავდეს და დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს მიერ აკადემიური პერსონალის არჩევისა და დანიშვნის წესი, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობას და მდგრადობას.</b></p> <p>რეკომენდაციის თანახმად, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია და დამტკიცებულია „პერსონალის არჩევის და დანიშვნის წესი (აკადემიური საბჭოს ოქმი ოქმი N9. 27.09.2021)“. შესაბამისად, ავტორიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტში არის მცირეოდენი უზუსტობები, რომლებიც მოითხოვს კორექტირებას. მაგალითად, შეუსაბამობაა მუხლი 2-ის პუნქტი 5 და მუხლი 3-ის პუნქტი 7-ს შორის, სადაც საუბარია პროფესორის თანამდებობაზე არჩევის ვადაზე და ატესტაციაზე. ასევე, მეოთხე მუხლის პუნქტი „მ“ თანახმად, კლინიკური მიმართულების პროფესორმა უნდა წარმოადგინოს „თანხმობის წერილი მულტიპროფილური კლინიკის ხელმძღვანელისაგან, სადაც განხორციელდება პრაქტიკა“. უნივერსიტეტის პარტნიორი კლინიკების უმრავლესობა, სადაც ხორციელდება პრაქტიკები არ წარმოადგენენ მულტიპროფილურ კლინიკებს, შესაბამისად ეს ჩანაწერიც მოითხოვს დაკორექტირებას.</p> <p><b>რეკომენდაცია 2: გაუმჯობესდეს პერსონალის პროფესიული განვითარების პოლიტიკა და პრაქტიკა ამ პროცესში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების როლის და ფუნქციების იდენტიფიცირებით, დამტკიცებითა და განხორციელებით.</b></p> <p>უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დახელოვნების და რეზიდენტურის სამსახური. ამ ეტაპზე გადამზადებული 26 ლექტორი. ინტერვიუების დროს გამოირკვა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს</p>

პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, თუმცა აღნიშნული პროცესი არ არის სტრუქტურული, სისტემურად არ ხდება ტრენინგების მიმართულებების და საჭიროებების შესწავლა/იდენტიფიცირება და ტრენინგები ჩატარდა ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად. ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებისთვის ტრენინგები ჯერ არ ჩატარებულა.

**რეკომენდაცია 3: უზრუნველყოფილ იქნეს პერსონალის საჭიროებებზე ორიენტირება და ტრენინგების ფინანსური მხარდაჭერა.**

რეკომენდაციის თანახმად, უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულია ბიუჯეტში ტრენინგების ფინანსური უზრუნველყოფა.

**რეკომენდაცია 4: შემუშავდეს, დამტკიცდეს და განხორციელდეს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრირების პროცედურა.**

რეკომენდაციის თანახმად, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოში ადაპტაციის პროცედურა. ინტეგრირების დროს ახალმა თანამშრომელმა დეტალურად აღწერა მისი უნივერსიტეტში ინტეგრირების შესახებ ინფორმაცია.

**რეკომენდაცია 5: პერსონალის შეფასების და კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები გამოყენებულ იქნეს სწავლებისა და კვლევების ხარისხის ასამაღლებლად, ისევე როგორც უნივერსიტეტის მართვის გასაუმჯობესებლად.**

უნივერსიტეტი ახორციელებს პერსონალის შეფასების გამოკითხვას და კმაყოფილების კვლევას. უსდ-ს მიერ გაანალიზებულია გასული სემესტრის შედეგები. ვიზიტის პერიოდში ასევე გაგზავნილი იყო კითხვარები, როგორც სტუდენტებთან, ისე პერსონალთან. ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების თანახმად, განხორციელებული ცვლილებების, უსდ-ს მიერ ახალი მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცების და მათი იმპლემენტირების შემდეგ, გამოკითხვების შედეგების ანალიზი ჯერ არ არის ჩატარებული. ექსპერტები დაინტერესდნენ, თუ რატომ ტარდებოდა გამოკითხვა შუა სემესტრში, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა გვიპასუხეს, რომ სემესტრის დამთავრებამდე ჩატარებული გამოკითხვები, პრობლემებზე დროულად რეაგირების საშუალებას მისცემდა ადმინისტრაციას.

**რეკომენდაცია 6: შემუშავდეს და დამტკიცდეს სამუშაოს აღწერილობები სხვადასხვა ტიპის პერსონალისათვის და დადგინდეს შესრულების ძირითადი ინდიკატორები პერსონალის ეფექტიანი შეფასებისათვის.**

უსდ-ს მიერ შემუშავებულია პერსონალის სამუშაოს აღწერილობები, თუმცა ამ ეტაპზე შესრულების ინდიკატორები არ არის დადგენილი სხვადასხვა ტიპის პერსონალისთვის

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სამუშაო აღწერილობები
- ინტერვიუები
- თვითშეფასების ანგარიში
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება
- კითხვარები
- ელექტრონული პორტალი
- აკადემიური საბჭოს ოქმი

**რეკომენდაციები:**

- უნივერსიტეტმა უნდა განხორციელოს უნივერსიტეტის თანამშრომლების საჭიროებების სისტემური შესწავლა და ამის მიხედვით განსაზღვროს ტრენინგების მიმართულებები როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებისთვის
- დადგინდეს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის შესწავლის შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები.

**რჩევები:**

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა**

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*რეკომენდაცია 1. დაწესებულებამ გამოიყენოს სრული განაკვეთის ექვივალენტი (FTE) ნახევარ განაკვეთზე მომუშავე და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის და ასევე, აფილირებული პერსონალის სასწავლო სამუშაო დატვირთვის გასაზომად.*

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „აფილირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობა, დატვირთვის ზღვრული ოდენობა და ანაზღაურების წესი“, რომელიც განსაზღვრავს დატვირთვის ოდენობას დაკავებული პოზიციების მიხედვით და შესაბამის ანაზღაურებას. დოკუმენტი არ ითვალისწინებს მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვას. უნივერსიტეტის განმარტებით გამოყენებულია სრული დატვირთვის ეკვივალენტი.

*რეკომენდაცია 2. დაწესებულებამ შეიმუშაოს აკადემიური პერსონალის მთლიანი სამუშაო დატვირთვის დაანგარიშებელი მკაფიო სქემა, მათ შორის სწავლებაზე, კურსების მომზადებაზე, კონსულტაციებზე, სადიპლომო თემების ხელმძღვანელობაზე, კვლევით საქმიანობაზე, ადმინისტრაციულ სამუშაოზე და ა.შ.*

რეკომენდაციის თანახმად, უსდ-მ შეიმუშავა „აფილირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობა, დატვირთვის ზღვრული ოდენობა და ანაზღაურების წესი“, სადაც გაწერილია პროცენტული დაანგარიშება: სასწავლო საქმიანობა, კონსულტაცია -საშუალოდ 40%, მეთოდური, ორგანიზაციული საქმიანობა - საშუალოდ 35 %, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა- 25%. ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დასაქმებული აფილირებული აკადემიური პერსონალი ადმინისტრაციულ თანამდებობის ფუნქციების შესრულებას უთმობს საშუალოდ 65%-ს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუს დროს გამოირკვა, რომ აფილირებულ აკადემიური პერსონალს უკავია 2 ადმინისტრაციული თანამდებობა, ამ შემთხვევაში როგორ ხდება სასწავლო-სამეცნიერო კომპონენტის დაანგარიშება გაურკვეველია. ამიტომ სასურველია, დატვირთვის სქემის და ადმინისტრაციული პოზიციის დაკავების კრიტერიუმების გადახედვა და თანხვედრაში მოყვანა.

*რეკომენდაცია 3. სწავლების თითოეული მეთოდისთვის (მაგალითად, PBL, სწავლება პაციენტის საწოლთან) დაწესებულებამ გაზომოს სტუდენტი/მასწავლებლის თანაფარდობა და დაიცვას უკვე არსებული საკუთარი წესები.*

სტუდენტებთან და ლექტორებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ერთსაფეხურისანი მედიცინის პროგრამის კლინიკური კურსებიზე, ჯგუფში 12-14 სტუდენტია, ასევე ვიზიტის დროს იქნა ნანახი ცხრილიც, რომელიც შესაბამისად არის გაწერილი და გამოკრული პრაქტიკის ობიექტზე გამოყოფილ ოთახის კარზე (არ არის ერთი ჯგუფი, ქვეჯგუფებად გაყოფილი). აქედან გამომდინარე, სტუდენტი/ლექტორის თანაფარდობა სასურველია გადაიხედოს, ვინაიდან იმ კლინიკურ გარემოში, სადაც ხორციელდება პრაქტიკა შეუძლებელია ამ რაოდენობა სტუდენტების გატარება. მაგალითად, „ენდოკრინოლოგიის“ პრაქტიკული როტაციის დროს, იმ ოთახში, სადაც მიმდინარეობს პრაქტიკული მეცადინეობა ფიზიკურად ვერ მოხდება ამ რაოდენობა სტუდენტების გატარება ერთი ლექტორის მიერ. რეკომენდირებულია ამ ტიპის პრაქტიკული მეცადინეობის ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის შემცირება ან ალტერნატიული პრაქტიკის ობიექტის მოძიება.

<p><b>რეკომენდაცია 4. დაწესებულებამ ობიექტურად გაითვალისწინოს სტუდენტების/პედაგოგის რაოდენობათა თანაფარდობა შესაბამისი პერსონალის სასწავლო დატვირთვის მიხედვით.</b></p> <p>უნივერსიტეტის მიერ გადასახედია სტუდენტების/პედაგოგის რაოდენობათა თანაფარდობა კლინიკური კურსების მიმართულებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სასწავლო პრაქტიკის დაწესებულებების შესაძლებლობები და იქ დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული) კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია</li> <li>• ინტერვიუები</li> <li>• თვითშეფასების ანგარიში</li> <li>• ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება</li> <li>• ფაქტიური მდგომარეობა კლინიკურ ბაზებზე</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რეკომენდირებულია კლინიკურ როტაციებზე 12-14-სტუდენტთან ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობის შემცირება</li> <li>• გადაიხედოს დატვირთვის სქემა აკადემიური პერსონალის მიერ ერთი ან რამდენიმე ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში</li> <li>• უნივერსიტეტის მიერ გადასახედია სტუდენტების/პედაგოგის რაოდენობათა თანაფარდობა კლინიკური კურსების მიმართულებით, სადაც გათვალისწინებული იქნება სასწავლო პრაქტიკის დაწესებულებების შესაძლებლობები და იქ დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა</li> </ul>
<p><b>რჩევები:</b></p> <p>-</p>
<p><b>შეფასება:</b></p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

## 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

<p><b>5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.</li> <li>○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.</li> </ul>



სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**რეკომენდაცია 1:** დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მკაფიო და ზუსტი, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამით დაინტერესებული საერთაშორისო სტუდენტებისათვის, მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

**რეკომენდაცია 2:** დაწესებულებამ უნდა შეიტანოს გარკვეული დებულება სტუდენტურ კონტრაქტებში.

სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესები განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სტუდენტის კონტრაქტი განსაზღვრავს მხარეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს. ხოლო ის საკითხები, რაც უშუალოდ კონტრაქტით არ არის განსაზღვრული, რეგულირდება შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, შიდა სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

დიპლომირებული მედიკოსის უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებს (რომლებიც უნივერსიტეტის სტუდენტების დიდ ნაწილს წარმოადგენენ), შესაძლებლობა აქვთ, ინგლისურ ენაზე მიიღონ ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის მოპოვების / შეცვლის და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, ასევე, მათი უფლებების დაცვის მექანიზმებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სტუდენტის კონტრაქტი
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები:**

-

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**რეკომენდაცია 1: აკადემიურ პერსონალს უნდა ჰქონდეს ფიქსირებული ყოველკვირეული საკონსულტაციო საათები სტუდენტთა დასახმარებლად, ფიზიკურად ან ვიდეოკონფერენციის მეშვეობით, რომლებიც ცხადდება სემესტრის დასაწყისში.**

ვიზიტის დროს ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ აკადემიურ პერსონალთან საკონსულტაციო საათების განრიგს, რომლებიც დაწესებულების ტერიტორიაზე სხვადასხვა სართულის სტენდზე იყო გამოკრული. თუმცა, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად არ გამოვლინდა კონსულტაციების გამართვის დროს აღნიშნული განრიგით სარგებლობის ან ამ განრიგის შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის მაგალითები, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ ეს პრაქტიკა კვლავს დანერგვის ეტაპზეა.

**რეკომენდაცია 2: უნდა გაუმჯობესდეს კარიერული დახმარების სერვისები უნივერსიტეტის გარეთ პრაქტიკისა და სტაჟირების პროგრამების განხორციელებით.**

ინტერვიუების შედეგად ჩანს, რომ დაწესებულებამ დაიწყო კარიერული დახმარების სერვისების გაუმჯობესებაზე მუშაობა, თუმცა კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი დეფიციტი იმ სტაჟირებისა და სამუშაო შესაძლებლობების კუთხით, რომელსაც სთავაზობენ მესამე მხარის დამსაქმებლები.

**რეკომენდაცია 3: უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.**

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დასახელდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში მათი ჩართულობის მაგალითები, თუმცა ისინი ეხებოდა ცალკეული პროგრამის სტუდენტების მიერ კონკრეტულ სასწავლო კურსთან მიმართებით გაცემულ უკუკავშირს. უმჯობესი იქნება, რომ ყველა ფაკულტეტისა თუ პროგრამის სტუდენტს თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეთ, ჩაერთონ ხარისხის უზრუნველყოფის ნებისმიერ ეტაპზე და ამას მიეცეს მეტად სისტემური ხასიათი.

**რეკომენდაცია 4: უნივერსიტეტმა უნდა განამტკიცოს საერთაშორისო კავშირები; შექმნას სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისა და უნივერსიტეტს მიღმა პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა.**

დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების ინფორმირებულობასა და ჩართულობას ადგილობრივ პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე, მათი ინიციატივების მხარდაჭერას. მაგრამ სტუდენტები კვლავ საჭიროებენ მეტ შესაძლებლობებს საერთაშორისო მობილობისა და უნივერსიტეტს მიღმა პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუშაობს საერთაშორისო კავშირების გაფართოებასა და სტუდენტებისთვის ამ მიმართულებით სამომავლოდ მეტი შესაძლებლობის შექმნაზე, თუმცა შედეგების შეფასება ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი, რადგან პროცესების უმეტესობა ამ მომენტისთვის საწყის ეტაპზეა.

**რეკომენდაცია 5: უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სტუდენტთა ჯანდაცვა და ფსიქოლოგიური დახმარება, განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტებისათვის.**

ვიზიტის დროს დაწესებულებისა და სტუდენტების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი მაგალითები იმის საჩვენებლად, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა ფსიქოლოგიური დახმარების სერვისების დასანერგად.

**რეკომენდაცია 6: სტუდენტებთან ურთიერთობისა და სტუდენტური ცენტრის პერსონალი უნდა იყოს დაკომპლექტებული ინგლისური ენის კარგად მცოდნე პერსონალით.**

ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურს დაემატა ინგლისური ენის მცოდნე თანამშრომელი. ასევე დახელოვნებისა და რეზიდენტურის სამსახურთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ გადამზადდა დაახლოებით 3 პერსონალი საკომუნიკაციო ინგლისური ენის ცოდნის ნაწილში და ამ მიმართულებით იგეგმება უფრო მეტი პერსონალის გადამზადება

**რეკომენდაცია 7: სტუდენტებთან ურთიერთობის ცენტრმა უნდა შექმნას კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა, დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზა და სტუდენტთა CV-ების ბანკი, რაც შესაძლებელს გახდის სისტემატურ კარიერულ დახმარებას და სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ეფექტიანად ჩატარებას მათი პირადი, პროფესიული და აკადემიური განვითარების შესახებ.**

ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურმა დაიწყო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზების განვითარება, ასევე, სტუდენტთა CV-ების ბანკის შექმნა. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ ამ საკითხებზე უნივერსიტეტის მხრიდან არაერთხელ მოხდა მათთან დაკავშირება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ინტერვიუს შედეგები
- სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის დებულება
- სტუდენტთა სერვისცენტრის დებულება
- კარიერული დახმარების სერვისები

**რეკომენდაციები:**

- საჭიროა აკადემიურ პერსონალთან საკონსულტაციო სერვისებისა და შესაბამისი განრიგების შესახებ სტუდენტების ინფორმირების გაზრდა.
- გაუმჯობესდეს კარიერული დახმარების სერვისები უნივერსიტეტის გარეთ პრაქტიკისა და სტაჟირების პროგრამების განხორციელებით.
- ყველა პროგრამისა და ფაკულტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს უნდა მიეცეთ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში ჩართვის მეტი შესაძლებლობა.
- საჭიროა საერთაშორისო კაშირების განმტკიცება, საერთაშორისო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდა.
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სტუდენტთა ფსიქოლოგიური დახმარების სერვისები, განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტებისათვის.

**რჩევები:**

-

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშეწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

<p><b>6.1 კვლევითი საქმიანობა</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.</li> <li>○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.</li> <li>○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p><i>რეკომენდაცია 1: უნივერსიტეტმა უფრო დაბალანსებულად უნდა გააძლიეროს კვლევითი პროფილი ფაკულტეტებზე, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ კვლევების დღის წესრიგი, მოახდინონ ისეთ კვლევით სფეროებზე ფოკუსირება, რომელიც უნივერსიტეტის მისიის შესაბამისია, მნიშვნელოვანია რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის</i></p> <p>დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ უნივერსიტეტს დაწესებული აქვს მუშაობა ამ მიმართულებით. კერძოდ, შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უნივერსიტეტთან ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისათვის ფონდი და გრძელდება უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევების სრულყოფილად განხორციელების მიზნით ლაბორატორიებისთვის თანამედროვე აპარატურის შეძენა. ამ ეტაპზე ექსპერტების მიერ ნანახი იქნა, რომ 2 ძირითადი ლაბორატორია უკვე მუშა მდგომარეობაშია.</p> <p>რეკომენდაციის შესაბამისა უსდ-მ განსაზღვრა კვლევის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც დაფუძნებულია რეგიონულ პრობლემებზე. მაგალითად:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მედიცინა - „1. ენდემური და ზოგადად კავკასიის რეგიონში გავრცელებული მცენარეებიდან მიღებული პოლიფენოლებისა და ცილოვანი ექსტრაქტების გავლენის შესწავლაზე სხვადასხვა ექსპერიმენტულ მოდელებში; 2. ოჯახურ ჰიპერქოლესტერინემიაზე (ოჰ) პასუხისმგებელ გენებში მუტაციების გავრცელება საქართველოს მოსახლეობაში“</li> <li>2. სტომატოლოგია - „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებებსა და D ვიტამინ რეზისტენტობა“</li> <li>3. ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციის ბარიერები ქართულ საზოგადოებაში“</li> <li>4. ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე - საქართველოს ჯანდაცვის და განათლების სისტემების პრობლემები საერთაშორისო ინდექსების მიხედვით.</li> </ol> <p>როგორც თემების სათაურებიდან ჩანს, შესწავლის საგანი და შედეგები მნიშვნელოვანი იქნება როგორც საქართველოსთვის, ასევე რეგიონული თვალსაზრისით.</p> <p>ინტერვიუს დროს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა 15 ადამიანი, რომელშიც ითვლება ყველა პერსონალი მათ შორის დამლაგებელიც. როგორც ინტერვიუდან გაირკვა, უშუალოდ კვლევითი პროექტის განხორციელებაში ჩართულია დაახლოებით 10 მეცნიერ-თანამშრომელი. თითოეულ ლაბორატორიას ჰყავს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.</p> <p>ჩატარებული ღონისძიებების მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიმართულებით სამუშაო მაინც რჩება: კერძოდ, ჩამოსაყალიბებელია პრიორიტეტული მიმართულებები ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების კლასიფიკატორების მიხედვით, შესამუშავებელია დეტალური გეგმა და კონკრეტული შესრულების ინდიკატორები, რაც საშუალებას მისცემს უსდ-ს განახორციელოს კვლევითი აქტივობა საერთაშორისო დონის შესაბამისად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციის გაცემიდან გასულია ძალიან ცოტა დრო, იმისათვის რომ მომხდარიყო სრულად შესრულება რეკომენდაციების.</p>

**რეკომენდაცია 2: უნდა დაიბეჭდოს მეტი ინგლისურენოვანი პუბლიკაცია საერთაშორისო აღიარებულ ჟურნალებში, რათა გაიზარდოს გავრცელებისა და აღიარების დონე და გაჩნდეს საერთაშორისო კვლევაში მონაწილეობის შესაძლებლობები.**

უსდ იზიარებს რეკომენდაციას და ამ რეკომენდაციის შესრულების მიზნით აფინანსებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის სამეცნიერო-კვლევითი სტატიის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს თუ სხვა ნაშრომების გამოქვეყნებას.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის საკონკურსო პირობებში შეტანილი იქნა არანაკლებ ერთი ორიგინალური ტიპის სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, რომლებიც ინდექსირებულია Scimago Journal Ranking ან/და PubMed ბაზებში. სტატი(ებ)ის გამოქვეყნებისას შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი უნდა იყოს მითითებული რომ კვლევა შესრულდა „შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით“. პროექტის ფარგლებში მიღებული ინტელექტუალური საკუთრება რჩება უნივერსიტეტს. პროექტის ხელმძღვანელმა პროექტის მიმდინარეობისას უნდა წარმოადგინოს კვარტალური ანგარიშები, პროექტის შესრულების ეტაპები დროში პროექტის ბიუჯეტის მიხედვით. პროექტის დაფინანსების უწყვეტობა დამოკიდებული იქნება წარმოდგენილ ანგარიშებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებული პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების კლასიფიკატორების მიხედვით,
- რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეალური გეგმის შემუშავება კონკრეტული შესრულების ინდიკატორების მითითებით;

**რჩევები:**

- სასურველია სამეცნიერო ფონდისთვის დაფინანსების გაზრდა ან/და თანხების მოძიება სხვა წყაროებიდან, ასევე მეტი კოლაბორაციული პროექტების განხორციელება

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია**

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**რეკომენდაცია 1: უნდა შემუშავდეს კვლევების ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების საიმედო გეგმა;**

უსდ-ს დაწესებული აქვს მუშაობა, სამწლიან სამოქმედო გეგმაში ინტერნაციონალიზაციის გაზრდის მიზნით გაწერილია კონფერენციების, სიმპოზიუმების მოწყობა, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან

მემორანდუმების გაფორმება. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან გაირკვა უსდ-მ გააფორმა მემორანდუმები სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან (ონდოკუზ მის უნივერსიტეტი, თურქეთი; ამერიკული უნივერსიტეტის კოლეჯი, მაკედონია; ჰორბაჩევსკის სახელობის ტერნოპილის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, უკრაინა; პ. სავანის უნივერსიტეტი, ინდოეთი). მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმაში ბევრი აქტივობაა გაწერილი ამ მიმართულებით, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება უნივერსიტეტისთვის მთავარი პრიორიტეტია და მუშაობა მუდმივად უნდა გრძელდებოდეს ამ მიმართულებით.

***რეკომენდაცია 2: უნდა განხორციელდეს ახალგაზრდა სპეციალისტთა მოზიდვის სტრატეგია. უნდა ჩატარდეს დაგეგმილი ღია კონკურსი***

შექმნილია ახალგაზრდა კადრების მოზიდვის და კვლევით საქმიანობაში ჩართვის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით გაწერილია ყველა ის ბენეფიტები, რასაც მიიღებს სტუდენტი, ახალგაზრდა მეცნიერი კვლევის განხორციელებისას ან/და პროექტის დაწერისას. ეს არის მაგალითად ანაზღაურება, პროექტების დაფინანსება, კონფერენციებზე დასწრება და სხვა.

***რეკომენდაცია 3: საჭიროა ცოდნის მიღება კვლევითი პროექტების ღია კონკურსებში მონაწილეობისათვის. საჭიროა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო სააგენტოებისათვის კვლევითი წინადადებების შედგენაზე***

უსდ-ს მიერ რეკომენდაცია გაზიარებულია, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული კონკურსისთვის ჩატარდა პერსონალის ტრენინგი ფონდში წარსადგენი პროექტების მომზადების მიზნით. გარდა ამისა, უსდ-ს მიერ დაფინანსებული იქნა აკადემიური პერსონალის, სტუდენტების მონაწილეობა 2021 წლის 10-11 ნოემბერს, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგზე (თემა: „ZOTERO – სამეცნიერო წყაროების შეროვებისა და მართვის პროგრამა“). თუმცა ამ მიმართულებით მუშაობა მეტი ინტენსივობით უნდა გაგრძელდეს და რეკომენდებულია შემუშავდეს გარკვეული ნიშნულები, რათა უსდ მიაღწიოს სათანადო დონეს.

***რეკომენდაცია 4: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური უნდა შეიცავდეს სამეცნიერო კვლევით განყოფილებას, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და მეცნიერებისათვის ევროპულ და საერთაშორისო დონეზე კვლევის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და დახმარებას***

უსდ-მ მოახდინა ცვლილება და ვიცე-რექტორს სამეცნიერო დარგში დაუქვემდებარა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რაც შესაძლებელს გახდის აკადემიური პერსონალისათვის გაცვლითი პროგრამებში მეტად ჩართვას, გარდა ამისა მეტი ინფორმაციის მიღებას ევროპულ და საერთაშორისო დონის კვლევების შესახებ, ასევე ხელს შეუწყობს ერთობლივი კვლევების დაგეგმვასა და კოლაბორაციის გაღრმავებას სამეცნიერო მიმართულებით.

***რეკომენდაცია 5: დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო კვლევითი გამოცდილებისა და უნარების მოთხოვნა აკადემიური პერსონალის სამსახურში აყვანისას***

როგორც ვებგვერდიდან და ინტერვიუდან ჩანს, უსდ პერიოდულად აცხადებს კონკურსებს, როგორც აკადემიური, ასევე სამეცნიერო პერსონალის აყვანის მიზნით. ყველა გამოცხადებულ კონკურსში მოთხოვნილია უკანასკნელი წლების სამეცნიერო გამოცდილება, მათი გრანტებში მონაწილეობის ისტორია და სხვა სამეცნიერო გამოცდილების დამადასტურებელი პარამეტრები. მაგალითად აკადემიური პერსონალის არჩევის წესში მითითებულია, რომ პროფესორებისთვის არანაკლებ 4 პუბლიკაცია, ასოცირებული პროფესორებისთვის არანაკლებ 3 პუბლიკაცია, ასიატენტ პროფესორებისთვის კი - მინიმუმ 2 პუბლიკაცია უნდა ქონდეს გამოქვეყნებული უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ხორციელდება ამ ინფორმაციის დამუშავება და შეფასება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომელიც გაწერილია სამეცნიერო ეროვნულ და საერთაშორისო

ჟურნალებში მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიები შესაბამისი კრიტერიუმებით, რომელიც გაწერილია „აკადემიური პერსონალის კვლევის პროდუქტიულობისა და ხარისხის შეფასების სისტემაში“. მაგალითად აკადემიური პერსონალის არჩევის წესში მითითებულია, რომ პროფესორებისთვის არანაკლებ 4 პუბლიკაცია, ასოცირებული პროფესორებისთვის არანაკლებ 3 პუბლიკაცია, ასისტენტ-პროფესორებისთვის კი - მინიმუმ 2 პუბლიკაცია უნდა ქონდეს გამოქვეყნებული უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

**რეკომენდაცია 6: დაწესებულებამ უნდა იმუშაოს საერთაშორისო ჟურნალების მონაცემთა ბაზებში უნივერსიტეტის პუბლიკაციის „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე საკითხები“ განთავსებაზე**

უსდ-მ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შეიქმნა ჟურნალის ელ-ვერსია, სადაც აიტვირთა მიმდინარე ნომერი, ჟურნალს და სტატიებს მიენიჭა ციფრული არქივის იდენტიფიკატორი (DOI). ჟურნალის მონაცემთა ბაზებში დარეგისტრირების მიზნით უსდ-მ გააფორმა ხელშეკრულება „ასოციაცია მეცნიერებისათვის“, რომელთა ძალისხმევით ჟურნალი შესულია Crossref, SCILIT (<https://www.scilit.net/journal/6440603>), გახსნილია პროფილი GOOGLE SCHOLAR-ში ([https://scholar.google.com/citations?user=TA\\_q-UQAAAAJ&hl=en&authuser=7](https://scholar.google.com/citations?user=TA_q-UQAAAAJ&hl=en&authuser=7)). უსდ-ს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ჟურნალის გავრცელებას საერთაშორისო დონეზე, თუმცა ჟურნალისთვის იმპაქტ-ფაქტორის მიღებას დიდი დრო ჭირდება და ამ მიმართულებით მუშაობა გასაგრძელებელია.

**რეკომენდაცია 7: დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტთა ჩართვა კვლევებში და მათი აქტივობის მონიტორინგი**

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ძალისხმევას არ იშურებს სტუდენტების ჩასართავად სამეცნიერო საქმიანობაში (სტუდენტური კონფერენციების მოწყობა, სტუდენტების დაფინანსება საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, მათი წახალისება პროექტებში ჩართვით და სხვა), სტუდენტების ჩართვის მაჩვენებელი სამეცნიერო მუშაობაში არ არის მაღალი, რაც ირკვევა ინტერვიუდან. უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს რომ ეს პრობლემური საკითხია და უნდა მიუდგეს სისტემურად და გააგრძელოს ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა. კერძოდ, ჩამოაყალიბოს გარკვეული რაოდენობრივი ნიშნულები (მაგალითად სტუდენტების მინიმალური რაოდენობა ვინც მონაწილეობს პროექტებში, გასცეს წამახალისებელი პრემიები და სხვა) და მუშაობის შედეგების კონკრეტული ინდიკატორები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- გამოქვეყნებული სიმპოზიუმების თეზისები
- ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- აკადემიური პერსონალის არჩევის და დანიშვნის წესი
- აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის და კვლევების ხარისხის შეფასების სისტემა
- უნივერსიტეტის დებულება
- უსდ-ს ვებგვერდი
- [www.Journals.4sciences.ge](http://www.Journals.4sciences.ge)

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის გეგმის დეტალური გაწერა, განსაკუთრებით სამეცნიერო მიმართულებით;
- სტუდენტების, ახალგაზრდა პერსონალის და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით საჭიროა მინიმალური ზღვრების/ინდიკატორების შემუშავება და აგრეთვე ვრცელი და ყოვლისმომცველი პიარ კამპანიის წარმოება მიმართულებით

**რჩევები:**

-

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება**

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*რეკომენდაცია 1: კვლევების შეფასების მოქმედი პროცესი უნდა გაფართოვდეს კვლევის ანალიზისა და შეფასების ინტეგრირებულ სისტემამდე, რომელიც მოიცავს ფაკულტეტებს, მეცნიერებს, ადამიანურ რესურსსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს*

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასევე ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უსდ-ს გააჩნია აფილირებული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობისა და კვლევების ხარისხის მუშაობის შეფასების სისტემა. აღნიშნული სისტემის შესაბამისად, უსდ ყოველწლიურად ახორციელებს შეფასებას და ახდენს მათ რანჟირებას, გარკვეული ქულების (>20) დაგროვების შედეგად გასცემს პრემიებს ერთჯერადად.

*რეკომენდაცია 2: დაინერგოს აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის მოთხოვნა;*

უსდ-ს მიერ რეკომენდაცია მიღებულია და შესრულებულია. არსებობს მტკიცებულება, რომ თითოეული პერსონალი ვალდებულია ყოველწლიურად წარადგინოს კვლევითი საქმიანობის ანგარიში, რომელსაც აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი ქულობრივი სისტემით. რაც შეეხება გეგმების წარდგენას, ეს პროცედურა ნებაყოფლობითია. უნივერსიტეტი ახალისებს ნებისმიერ სამეცნიერო აქტივობას გარკვეული ბონუსური სისტემით.

*რეკომენდაცია 3: დაწესებულებამ უნდა დაუკავშიროს კვლევის შეფასების შედეგები და კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა პერსონალის დატვირთვისა და ანაზღაურება;*

ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიური პერსონალისთვის საერთო დატვირთვის 35% განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი აქტივობისთვის, თუმცა თუ საკონტაქტო საათების რაოდენობა იქნება მცირე, შესაბამისად გაიზრდება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა. რაც შეეხება მეცნიერ-თანამშრომლებს, ისინი ძირითადად ჩართული არიან პროექტების განხორციელებაში და იმ შემთხვევაში თუ საათობრივი დატვირთვა ექნებათ, შეუმცირდებათ სამეცნიერო აქტივობა შესაბამისი პროპორციით.

*რეკომენდაცია 4: თითოეულ აკადემიკოსზე უნდა განისაზღვროს გამოქვეყნებული სამუშაოს წლიური ზღვარი*



უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ ყოველწლიური სამეცნიერო აქტივობის შეფასებისას თითოეული პუნქტი (გამოქვეყნებული სტატიები, მოხსენებები, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა) ფასდება გარკვეული ქულით. მინიმალური ზღვრული რაოდენობა არის 8 ქულა, თუ აფილირებული აკადემიური პერსონალი ვერ შეასრულებს ამ მოთხოვნას, გაიცემა რეკომენდაცია მეორე სასწავლო წლისთვის შესრულების შესახებ. რეკომენდაცია შესრულებულია, თუმცა სასურველია მინიმალური ზღვარი აიწიოს, რაც სამეცნიერო მუშაობის გააქტიურების საწინდარი იქნება.

**რეკომენდაცია 5: რეგულარულად გამოქვეყნდეს ანგარიშები კვლევითი საქმიანობის შესახებ**

უსდ-ს ვებ გვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია მიმდინარე და განხორციელებულ კვლევებზე, თუმცა ვიცე-რექტორთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ ანგარიშების სახით დადება უსდ-სთვის არ არის აქტუალური, რადგანაც კვლევის შედეგები ქვეყნდება შესაბამის სპეციალობის ჟურნალებში სტატიების სახით ან მოხსენებულა სამეცნიერო სიმპოზიუმებზე. შესაძლებელია ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიაროს ეს მოსაზრება, თუმცა რეკომენდაცია უშუალოდ შინაარსობრივ მხარეს არ მოიცავდა და მიზანშეწონილი იყო რაოდენობრივი მაჩვენებლის განთავსება ან მიმდინარე და დასრულებულია კვლევების მოკლე აღწერილობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის პროდუქტიულობის და ხარისხის შეფასების სისტემა
- სამეცნიერო პერსონალის შეფასება
- ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ვებ გვერდი

**რეკომენდაციები:**

- რეგულარულად გამოქვეყნდეს ანგარიშები კვლევითი საქმიანობის შესახებ

**რჩევები:**

- სასურველია, აფილირებული პერსონალი სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მინიმალური ზღვარი გაიზარდოს

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<b>7.1 მატერიალური რესურსი</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება),</li> </ul>

<p>რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.</li> <li>○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.</li> <li>○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p><i>რეკომენდაცია 1: დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კლინიკური უნარების ლაბორატორიის სათანადოდ აღჭურვა სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</i></p> <p>კლინიკური უნარების ლაბორატორიაში ინახა კანქვეშა ინექციების, ჭრილობის მოვლისა და შარდის ბუშტის კათეტერიზაციის განსახორციელებლად საჭირო ახალი მანეკენები და მულაჟები. ასევე, სხვა აღჭურვილობა, რომლებიც მოთხოვნილია სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლით.</p> <p><i>რეკომენდაცია 2: დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ადეკვატური გასახდელი ოთახები კარადებით ყველა ობიექტზე, სადაც მიმდინარეობს სწავლება.</i></p> <p>ვიზიტის დროს დათვალიერებულ სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ობიექტებზე ნანახი იქნა არაერთი გასახდელი ოთახი, რომელთა სარგებლობა შეუძლიათ სტუდენტებს.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კლინიკური უნარების ლაბორატორიის დათვალიერება</li> <li>• სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი ობიექტების დათვალიერება</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>-</p>
<p><b>რჩევები:</b></p> <p>-</p>
<p><b>შეფასება:</b></p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>
<p><b>7.2. საბიბლიოთეკო რესურსები</b></p>
<p>ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.</p>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</b></p> <p><i>რეკომენდაცია 1: მოინახოს სტუდენტებისა და პერსონალის მიერ ელექტრონული ბაზების გამოყენების გაზრდის გზები</i></p>

**რეკომენდაცია 3: ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზის გაცნობა უნდა მოეწყოს წელიწადში მინიმუმ ორჯერ, რადგან გეომედი სტუდენტებს წელიწადში ორჯერ იღებს. სწავლის პერიოდში ყველა სტუდენტს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს დამატებითი ტრენინგები.**

ექსპერტების ვიზიტამდე ერთი თვით ადრე (2021 წლის 29 ოქტომბერი) დაწესებულებაში ჩატარდა სემინარი “სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების გზები”. მსგავსი ტიპის აქტივობები, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ელექტრონული ბაზების შესახებ ინფორმირებულობისა და, შესაბამისად, მათი გამოყენების გაზრდას. თუმცა, ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი ერთჯერადად გატარებული ღონისძიებების შედეგების შეფასება, მითუმეტეს მაშინ, როცა სტუდენტებთან ინტერვიუების დროს არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მონაცემთა ბაზების გამოყენებასთან მიმართებაში.

**რეკომენდაცია 2: დაწესებულებამ უნდა გააუმჯობესოს საბიბლიოთეკო რესურსების დაგეგმვის პროცესი.**

ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ახალი და დანერგილი მექანიზმი, რომელიც გააუმჯობესებდა საბიბლიოთეკო რესურსების კვლევას, აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტების მიერ წარდგენილი მოთხოვნების პრიორიტეტიზაციასა და კლასიფიკაციას.

**რეკომენდაცია 4: შემოწმდეს სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში.**

სილაბუსებში მითითებული წიგნების ელექტრონულ კატალოგში მოძიება მოხდა შემთხვევითობის პრინციპით და ნანახი იქნა როგორც ძირითადი, ასევე – დამხმარე ლიტერატურის ეგზემპლარები. ამასთანავე, ელექტრონული სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, სტუდენტის პროფილიდან, თუმცა სტუდენტს უფლება აქვს ყველა ელექტრონული სახელმძღვანელოს ჩამოტვირთვის და მისი გავრცელების საავტორო უფლებების დარღვევით. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში ვიზიტისას, წიგნად ფონდში დაცული იყო რამდენიმე ბეჭდური სახელმძღვანელოს ქსეროასლი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ინტერვიუს შედეგები
- ბიბლიოთეკის დათვალიერება
- სემინარი “სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენების გზები” - <https://geomedi.edu.ge/?p=5720>

**რეკომენდაციები:**

- მოინახოს სტუდენტებისა და პერსონალის მიერ ელექტრონული ბაზების გამოყენების გაზრდის კიდევ უფრო მეტად ეფექტიანი გზები
- გაუმჯობესდეს საბიბლიოთეკო რესურსების დაგეგმვის პროცესი.

**რჩევები:**

- მოახდინეთ წიგნადი ფონდიდან გასარიცხი ისეთი ბეჭდური სახელმძღვანელოების ქსეროასლების იდენტიფიცირება, რომელთა გამრავლებაც არ ხდება საავტორო უფლებების დაცვით და ამასთანავე, გადახედეთ ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე წვდომის უფლებებს (ჩამოტვირთვა და ა.შ.) საავტორო უფლებების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით.
- გაზარდეთ საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის რაოდენობა მედიცინის მიმართულებით

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.3 საინფორმაციო რესურსი**

- o უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- o ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგულია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები.
- o უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*რეკომენდაცია 1: პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმები განთავსებული უნდა იყოს ვებგვერდზე.*

ვიზიტის პერიოდში მოხდა ვებ-გვერდზე განთავსებული პროგრამების აღწერილობების გაცნობა, სადაც ასევე წარმოდგენილი იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

*რეკომენდაცია 2: აკადემიური კალენდარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებგვერდზე*

*რეკომენდაცია 3: ცხრილები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებგვერდზე შესვლისთანავე.*

ვიზიტის პერიოდში ვებ-გვერდზე შესაძლებელი იყო 2021 – 2022 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრის გაცნობა ფაკულტეტებისა და შესაბამისი თარიღების მიხედვით. ცხრილები არ არის ხელმისაწვდომი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პლატფორმაზე.

*რეკომენდაცია 4: დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სხვა კომერციულ ვებგვერდებს, რომლებიც ასრულებენ აგენტის როლს უცხოელი სტუდენტებისათვის, ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია „გეომედის“ შესახებ, თუმცა დაწესებულებამ არ უნდა შეიქმნას წარმოდგენა, რომ ისინი უნივერსიტეტის ნაწილს წარმოადგენს. საუკეთესო პრაქტიკაა მოკლე ინფორმაციის განთავსება სააგენტოს საიტზე გეომედის ვებგვერდის ბმულითურთ სადაც იქნება წარმოდგენილი ოფიციალური ინფორმაცია.*

Geomedi India წარმოადგენს მთავარ სააგენტოს, რომელიც ასრულებს აგენტის როლს უცხოელი სტუდენტებისათვის. ვიზიტის პერიოდში სააგენტოს ვებ-გვერდის (geomediindia.com) დათვალიერებით შეიძლება ითქვას, რომ აქ ძირითადად წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოში არსებულ რეგულაციებსა თუ საქართველოში სწავლის უპირატესობებზე, ხოლო გეომედთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილია იმ მოცულობით, რაც საკმარისია დაწესებულების ცნობადობის გასაზრდელად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ინტერვიუები
- ვებ-გვერდი geomedi.edu.ge
- ვებ-გვერდი geomediindia.com

**რეკომენდაციები:**

- უზრუნველყავით სასწავლო ცხრილების განთავსება სტუდენტისა და პედაგოგის პროფილიდან ელექტრონულ ბაზებში

**რჩევები:**

- სასურველია, გეომედის კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ საკუთარ ელექტრონულ ბაზაზე წვდომის უფლება, სადაც განთავსებულია ინფორმაცია მათი სწავლის პერიოდში მიღწეული შედეგების შესახებ, აწარმოეთ გამოკითხვა აღნიშნული ელ-პლატფორმის მეშვეობით და გაზარდეს მისი ფუნქციონალი, რათა კურსდამთავრებულებმა თავად შეძლონ ბაზაში განახლონ ინფორმაცია საკუთარი პროფესიული განვითარების, განათლების და სხვა აქტივობების შესახებ, რაც გაგიადვილებთ კურსდამთავრებულთა ბაზის წარმოებასა და კომუნიკაციას.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.4 ფინანსური რესურსი**

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**რეკომენდაცია 1:** ჩაშალეთ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ფაკულტეტების მიხედვით.

**რეკომენდაცია 2:** უკეთესი მონიტორინგისა და კონტროლისთვის თითოეული კლინიკის ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს შემოსავლებსა და ხარჯებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა ბიუჯეტის ახალი ვერსია, სადაც ხარჯვითი ნაწილი ჩაშლილია ფაკულტეტების მიხედვით, ასევე, კლინიკების ბიუჯეტიც, სადაც წარმოდგენილია შემოსავლები და ხარჯები.

**რეკომენდაცია 3:** უნდა გაიზარდოს პროფესიული განვითარებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი.

**რეკომენდაცია 4:** უნდა გაიზარდოს ინტერნაციონალიზაციაზე გამოყოფილი ბიუჯეტი

მოხდა მეცნიერებისა და პროფესიული განვითარების ბიუჯეტისა (388 900 ლ) და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიუჯეტების განცალკევება (170 00 ლ) და გაიზარდა ამ პუნქტებისთვის გამოყოფილი თანხების მოცულობა.

ინტერნაციონალიზაციაზე გამოყოფილი ბიუჯეტი 15 000 ლარიდან გაიზარდა 50 000 ლარამდე.

**რეკომენდაცია 5:** ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარე ფინანსური აუდიტის ანგარიში.

გარე ფინანსური აუდიტის ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [https://geomedi.edu.ge/wp-content/uploads/pdf/audit\\_daskvna\\_2020.pdf](https://geomedi.edu.ge/wp-content/uploads/pdf/audit_daskvna_2020.pdf)

<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაწესებულების ერთიანი ბიუჯეტი</li> <li>• ფაკულტეტების ბიუჯეტი</li> <li>• საუნივერსიტეტო კლინიკის ბიუჯეტი</li> <li>• გარე ფინანსური აუდიტის ანგარიში</li> <li>• ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p>
<p><b>რჩევები:</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.</p>
<p><b>შეფასება:</b></p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი**

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	დიპლომირებული მედიკოსი - 0912.1.1	360	აკრედიტებული	08/05/2020 MES 5 20 00367134
2	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი - 0912.1.1	360	აკრედიტებული	08/05/2020 MES 4 20 00367133
3	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი	ქართული	დიპლომირებული	300	აკრედიტებული	10/12/2019 №234

	საგანმანათლებლო პროგრამა		სტომატოლოგ ი - 0911.1.1			
4	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაცი ის ბაკალავრი - 0915.1.1	240	აკრედიტებული	12/12/2019 №238
5	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაცი ის მაგისტრი - 0915.1.1	120	აკრედიტებული	12/12/2019 №239